ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ

# საქართველო

30 თეთრი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის თვეში ორჯერ №1 (1807) 20 იანვარი 2004



## სახელმწიფო დროშა სახელმწიფოს იდეოლოგიის მოკლე კონსპექტი უნდა იყოს

გვ. 2

## რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისათვის ბრძოლა საქართველოს ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა

გვ. 2

7



ხმალი არ ჩაეგება, ვიდრე უკანასკნელი კორუმპირებული თავისუფლად დადის

745/2



## გავხადოთ რეალობა — სასურველი!

*ქვეყანაში ჯერ ისევ ვარდების სუნი დგას*

გვ. 6

## ვინ არიან დღეს




გვ. 3

## თავისმკვლელი მოჯაჰედები?

## ეროვნული უსაფრთხოების ერთი აქტუალური საკითხის შესახებ

გვ. 5

## ბუში ბრიტანელთა თვალით



გვ. 5

www. opentext.org.ge/sakart

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სახელმწიფო დროშა სახელმწიფო იდეოლოგიის მოკლე კონსპექტი უნდა იყოს

**ინტერვიუ ნოდარ ნათაძესთან**

**— რა აზრის ხართ საქართველოს სახელმწიფო დროშის შეცვლის საპარლამენტო აქტზე?**

— მკვეთრად უარყოფითის. პარლამენტის 1904 წლის 14 იანვრის სხდომა ისტორიაში შევა, როგორც კურიოზი, როგორც ბავშვების თამაში დანესებულების ბეჭდით, ძვირფასი კომპიუტერით ან სხვა რამ მნიშვნელოვანი საგნებით, რომლებსაც ფრთხილი მოპყრობა სჭირდება.

**— დავაკონკრეტოთ.**

— მოვიყვან ხუთ მოტივს. **პირველი:** 1920 წლის დროშა შესაცვლელია, რადგან ნაკლოვანებები აქვს, მაგრამ იგი შესაცვლელია არა ნებისმიერი დროშით, არამედ მხოლოდ სრულყოფილი ან, მინიმუმ, სრულფასოვანი დროშით, ანუ ისეთით, რომელსაც შეუძლია თავისი სახელმწიფოებრივი ფუნქცია შეასრულოს. არ შეიძლება დროშა შევცვალოთ ყოველთვის, როცა კი მის შედარებით უკეთეს ვარიანტს მოვიფიქრებთ. დროშა უნდა შეიცვალოს ერთხელ და სამუდამოდ. ამჯერად ეს არ მომხდარა: ახალი დროშა ძილებულ იქნა ისე, რომ არავის დაუსვამს კითხვა: არის თუ არა ახალი დროშა იმგვარი, რომ დააკმაყოფილოს სახელმწიფო დროშისადმი წასაყენებელი ყველა მოთხოვნა, ანუ იყოს დამაკმაყოფილებელი თავისი ხარისხით?

მეორე, სახელმწიფო დროშა დამყარებული უნდა იყოს სიმბოლიკაზე, სხვა სიტყვით — იგი უნდა იყოს სახელმწიფოს იდეოლოგიის მოკლე კონსპექტი, კონკრეტული საგნების გამოსახულებებში გამოხატული. ახალ დროშას ერთადერთი სიმბოლო აქვს — ჯვარი, ისიც — გაუაზრებელი სახით, რადგან არავის აქვს რაიმე მოსაზრება იმის თაობაზე, რატომ უნდა იყოს, ან, პირიქით, რატომ არ უნდა იყოს ქართულ დროშაზე ბოლნური ჯვარი, და არა სწორი ხაზებით შედგენილი ჯვარი ან სხვა რამ სახისა. გარდა ამისა, არ შეიძლება ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის სიმბოლურ გამოსახულებად დროშაზე იყოს მხოლოდ ჯვარი, რადგან საქართველო არ არის მსოფლიოს ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო და, შესაბამისად, ჯვარი მხოლოდ ქართველთა სულისკვეთების გამომხატველი არ არის, არამედ სხვა ქრისტიანებისაც. გადაწვეტილების მიმღებ პარლამენტარებს ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ არც ქართველი ეროვნება და არც ქართული სახელმწიფო გაჩენილა ახალი წელთაღრიცხვის ჩარჩოებში. საქართველოს ისტორიისა და ქართველი ერის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ნაწილი და, შესაბამისად, მათი თვითცნობიერების ობიექტურ საყრდენთა მნიშვნელოვანი ნაწილიც ძველ წელთაღრიცხვას ეკუთვნის და ეს ნაწილი სულაც არაა გადასაგდები, დასაკარგი ან დასაგმობი. ამიტომ დროშის სიმბოლიკა უნდა შეიცავდეს ერისა და სახელმწიფოს განმასახიერებელ ისეთ ელემენტსაც (ერთს მაინც), რომელიც ერთიანია საქართველოს დღემდე ჩავლილი მთელი ისტორიისათვის. წინანდელ პარლამენტს (და, მით უმეტეს, დროშის თემაზე მომუშავე წინანდელ კომისიას) ისიც უნდა სცოდნოდათ, რომ ქრისტიანულ რელიგიაზე დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფო იდეოლოგიას არასდროს აზრადაც არ გაუვლია ქვეყნის ისტორიის ქრისტიანობამდელი ნაწილის უკუგდება. ლეონტი მროველი რუისის ეპისკოპოსი იყო (ასეა, ძირითადად მაინც, მიჩნეული ქართულ ისტორიოგრაფიაში), მაგრამ მისი (მის მიერ, როგორც მინიმუმი, რედაქტირებული) ქართული მატიანე ძალიან მკვეთრად ასხვავებს თავის თხრობაში ეროვნების ერთგულ არაქრისტიან მეფეებს ერთის მხრივ და უცხო ძალაზე ორიენტირებულებს, მეორეს მხრივ, პირველებს იგი აქებს ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა „ამან ჰმატა მსახურებასა მამულთა კერპთასა“, ხოლო მეორეებს აძაგებს ისეთი გამოთქმებით, როგორიცაა „ამან შეიყუარა სჯული სპარსთა“ და ა.შ. (შევნიშნავ ფრჩხილებში: ქართულ სახელმწიფო-



ებრიობის უწყვეტი ტრადიციის ცნობიერებაზე მიუთითებს მეხოტბის ისეთი „ანტიფაქტობრივი“ გამოთქმაც, როგორიცაა:

ვახანგის ტომსა,
მას ვეფხებრ მხლტომსა
მზისად ჰშვენიან გაჩვენებანი.

„ვახტანგი“ გორგასალია, მისი „ტომი“ ანუ ნათესავი, რომელსაც მასთან, ისტორიულად, არავითარი გენეტიკური კავშირი არა აქვს, არის დავით სოსლანი, ხოლო „მზე“, რომელსაც ეს უკანასკნელი თავს აწონებს თავისი სიმკვირცხლით და ვაჟკაცობით, არის თამარ მეფე.

**მესამე.** წინაალმდეგ 14 იანვრის დისკუსიაში („რუსთავი-2“) ზოგი პარლამენტარის მიერ გამოთქმული პოზიციისა, მეცნიერება სჭირდება ყველაფერს, მათ შორის — სახელმწიფო დროშის მიღებასაც. დისკუსიაში მონაწილე მაქსიმალურად კომპეტენტური მეცნიერი დავით მუსხელიშვილი მკაფიოდ პასუხობს იმ კითხვას, რომელსაც აძლევენ: ხუთჯვრიანი დროშა ქართულია თუ კათოლიკური? პასუხია: დიდი ალბათობით (უხვი არგუმენტაციის საფუძველზე) იგი კათოლიკური არ არის, არამედ ქართულია. მაგრამ პარლამენტარები არ ეკითხებიან მეცნიერს ყველაფერს, რაც მათთვის სრულებით აუცილებელია, სახელდობრ: „არის თუ არა ეს ხუთჯვრიანი დროშა სრული უეჭველობით, ის „დროშა სვიანად ხმარებული, გორგასლიანი და დავითიანი“, რომელსაც მატიანე არაერთხელ ახსენებს?“ „გვაქვს თუ არა ხელთ ქართული ისტორიული ტრადიციიდან მომდინარე სიმბოლიკა, რომლის გამოყენება შეგვიძლია დღეს სახელმწიფო დროშის შექმნაში?“ და „რა და რა თემები (ეროვნული სახელმწიფოებრიობის რა პარამეტრები) უნდა შედიოდეს ან ტრადიციით შედის იმ სიმბოლიკაში, რომელიც შეადგენს ხოლმე (ან უნდა შეადგენდეს) სახელმწიფო დროშის მიერ მაყურებელთან მისატან აზრს, შინაარსს, შეტყობინებას (ე.წ. „მესეჯს“)?“ ჩვენ შემთხვევაში პარლამენტს მეცნიერისათვის ეს კითხვები არ დაუსვამს, ანუ: პარლამენტი და მისი შესაბამისი კომისია სახელმწიფო დროშის საკითხს, უბრალოდ რომ ვთქვათ, სერიოზულად არ მოჰკიდებია.

**— მაშ, თქვენი სიტყვით, პარლამენტი ვერ მიხვდა, მეცნიერისთვის რა კითხვები დაესვა, ხოლო თუ მიხვდებოდა, მაშინ საკითხიც გადაწყვეტილი იქნებოდა?**

— არა, სამწუხაროდ, ასე არ არის. მეცნიერებას ყველა კითხვის პასუხი არ გააჩნია და ყველასთვის ვერც იპოვის, რაც უნდა დიდი ძალისხმევა მოახდინოს. მეცნიერმა ამ შემთხვევაში მოხაზა იმის საზღვრები, რა იცის და რა შეიძლება იცოდეს მეცნიერებამ დღევანდელ ეტაპზე ხუთჯვრიანი დროშის შესახებ. საქმე ისე არ გახლავთ, როგორც ერთმა პარლამენტარმა განაცხადა: „მერე რა, რომ რაღაცა არ ვიცით. წაიმუშავებს კიდევ ჯგუფი რამდენსამე დღეს და პრეზიდენტის ინაუგურაციამდე ყველაფერი გვეცოდინებაო“. მაგრამ რაგინდარა ინტენსიური ძალისხმევითაც მეცნიერება, ალბათ, დაბეჯითებით ძალიან დიდხანსაც ვერც „ჰოს“ იტყვის და ვერც „არას“. იგი იტყვის მხოლოდ „ამის იქით ვერ მივდივარო“ და პარლამენტს ამით ამოცანა დაესახება. იფიქრე და შენ თვითონ მოიაზრე დროშის ფორმა და სახეო“. მაგრამ მეცნიერება ისევ საჭირო გახდება. მას ჰკითხავენ, კერძოდ, შემდეგს: „რა სიმბოლიკა გაგვაჩნია?“ და „რა და რა მოეთხოვება ქართულ და მსოფლიო ტრადიციის მიხედვით დროშას?“

**მეოთხე მოტივი.** 1920 წლის სამფეროვანი დროშა არ არის ნაკლებ „სახელოვანი“, ვიდრე ხუთჯვრიანი. პირიქით. ხუთჯვრიანი დროშის გამარჯვება, ჯერჯერობით, არის მხოლოდ გამარჯვება მარაზმატულ შინაპოლიტიკოსზე შევარდნაძეზე და მის ხროვაზე. სამფეროვანის გამარჯვება კი არის საქართველოს გამოყვანა რუსეთის იმპერიიდან (იგი 1920 წელს სწორედ გამათავისუფლებელი ბრძოლის კონტექსტშია შექმნილი) და, — რა თქმა უნდა, სხვა მებრძოლ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, — ისტორიის მკაფიო განაჩენის შესატყვისად „ბოროტების იმპერიის“ დაშლა. თუ სამფეროვან დროშას ტრაგიკული აურა აქვს, აქედან მხოლოდ იმის დასკვნა შეიძლება, რომ დროშა უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა იმისა, რომ მისი შეცვლა შეიძლება მრავალჯერ და მისი შეცვლა შეიძლება ნებისმიერი სხვით.

**მეხუთე.** დროშა, რომელიც უკვე გამოყენებულ იქნა, როგორც პარტიული ანუ როგორც შიდაპოლიტიკური მიზნებისთვის განკუთვნილი, არ შეიძლება გადაკეთდეს სახელმწიფო დროშად, ვინაიდან სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციაა არა ერის შიდა ორგანიზაცია, არამედ მისი თვითდამკვიდრება დანარჩენ ხალხთა და სახელმწიფოთა ფონზე.

სამწუხაროდ, სახელმწიფო საქესთან დღეს ბევრი უმეცრება, უპასუხისმგებლობა, პოლიტიკანობა და კერძო ინტერესი — როგორც ბოლმისმიერი, ისე მლიქვნელობისმიერი კერძო ინტერესი — თარეშობს. ამ უკანასკნელ ეპიზოდში 1999 წლის პარლამენტმა კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი თავი, როგორც გონებრივად უმწიფარმა პარლამენტმა, რომელშიც, ამასთან ერთად, სამწუხაროდ, საკმაოდ არასაპატიო ადამიანური განცდავნებებიც ბობოქრობს.

*„საქართველო“*

# საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

9 III 1990 საქ. სსრ უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც საქართველო აღიარებულ იქნა რუსეთის მიერ დაპყრობილ და ფაქტობრივად ანექსირებულ ქვეყნად. საქართველოს 28.X.1990 კანონიერად არჩეულმა უზენაესმა საბჭომ სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებს, რომელნიც საქართველოში დგანან, ოკუპანტების კვალიფიკაცია მისცა. არც ერთი ამ ორ დადგენილებათაგანი არ გაპროტესტებულა და არც ერთს შეკამათება არ გამოუწვევა სსრკ-ის უზენაესი საკანომდებლო ორგანოების მხრიდან.

1. VI. 1993 საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა თავის დადგენილებაში №125 ცალსახად მოახდინა იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა დგომას საქართველოში არა აქვს არანაირი იურიდიული საფუძველი და რომ მოხდეს მათი საქართველოში დგომის ფაქტი არის მხოლოდ მექანიკური გაგრძელება 1921 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის და ძალადობითი ოკუპაციის ფაქტისა, აგრეთვე დაადგინა, რომ საქართველოში არსებული ყველა რუსული სამხედრო ბაზის გაყვანა საქართველოდან 1995 წლის 31 დეკემბრამდე. ამის შემდეგ საქართველოს პარლამენტის არც ერთ აქტში ამ თარიღის შეცვლა არ მომხდარა.

საქართველოს პარლამენტის 1 VI 1993 წლის დადგენილების მიღებიდან თავის იძულებით გადადგომამდე 2003 წლის 23 XI საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, შემდეგ კი პრეზიდენტი ე. შევარდნაძე საზოგადოებისაგან მალულად აწარმოებდა მოლაპარაკებას რუსეთთან საქართველოში რუსეთის ბაზების მყოფობის ფაქტობრივი გაგრძელების შესახებ და უგულებელყოფდა საქართველოს პარლამენტის დადგენილებას, რითაც პირდაპირ არღვევდა კანონს და ჩადიოდა დანაშაულს სახელმწიფოს წინაშე. დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თ. ჯაფარიძე, ასევე კანონის დარღვევით, აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებას რუსეთთან საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის შესახებ და გამოთქვამს საქართველოს მზადყოფნას, ბაზების გაყვანა მოახდინოს 3 წლის ვადაში, რაც საკმარის საფუძველს წარმოადგენს ეჭვისათვის საქართველოს ინტერესებისადმი მისი საგარეო საქმეთა მინისტრის ერთგულების, აგრეთვე საქართველოს პოლიტიკის ამ უბანზე პასუხისმგებელ სხვა პირების ერთგულების თაობაზე.

ალვნიშნავთ- რა ამ უაღრესად სამწუხარო ფაქტს, საქართველოს საზოგადოებრიობისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე განმეორებით ვაცხადებთ შემდეგს.

1. საქართველოში რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალთა მყოფობა არის კანონსაწინააღმდეგო მდგომარეობა, სახელდობრ, საქართველოს ტერიტორიის ნაწილთა რუსეთის მიერ ოკუპაციის ანუ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის მდგომარეობა. იგი არის, ამასთანავე, სასიცოცხლო ხიფათი საქართველოს სახელმწიფოსა და მოსახლეობისათვის, ვინაიდან რუსული სამხედრო ბაზები წარმოადგენენ მუდმივ ბაზასა და ზურგს რუსული სამსახურებისათვის, რომელთა ანტიქართული მოქმედება აფხაზეთსა და ცხინვალის ზონაში ცნობილია და რომელთაც მიზნად აქვთ, სხვა აგრესიულ ქმედებებთან ერთად, საქართველოში მდგრადი და მრავალმხრივი კატასტროფული ვითარების ორგანიზება ტერაქტებისა დიდი სისხლისღვრის ჩათვლით, რათა შეეფერხდეს დასავლური დემოკრატიის წინსვლა შუა აზიისაკენ.

2. 2. რუსეთს, წინააღმდეგ მის სახელმწიფო მოხელეთა და მედიუმთა მრავალმხრივი განცხადებებისა, არა აქვს და ვერ ექნება კანონიერი ინტერესები საქართველოში გარდა იმ ერთადერთისა, რომ საქართველოსთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაში იმყოფებოდეს, აგრეთვე არა აქვს არანაირი საფუძველი, რომ თავისი ძალადობით ჩაყენებული შეიარაღებული ძალების საქართველოდან გაყვანის ხარჯების დაფარვა საქართველოსაგან ითხოვოს. პირიქით: რუსეთს ჰმართებს 1921 წლიდან საქართველოში განლაგებული საბჭოთა და რუსული შეიარაღებული ძალების მიერ მიყენებული ეკოლოგიური და სხვა სახის ზარალის კომპენსაცია საქართველოსათვის.

3. თქმულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო ფრონტი განმეორებით აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლების უფლებაა და პირდაპირი მოვალეობაა, მიაღწიოს რუსეთის სამხედრო ბაზების დაუყოვნებლივსა და სრულ გაყვანას საქართველოდან, ასევე საქართველოს ყველა პოლიტიკური ჯგუფისა და ყველა მოქალაქის უფლება და მოვალეობაა, ყველა საშუალებით იბრძოლოს ამ მიზნისათვის მანამდე, სანამ იგი მიღწეული არ იქნება.

საქართველოს სახალხო ფრონტი სრულად გამოიყენებს ამ უფლებას და კეთილსინდისიერად მოიხდის ამ მოვალეობას. იგი იმედოვნებს, რომ ასევე იმოქმედებენ ყველა ის პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ჯგუფები და საქართველოს სხვა მოქალაქეები, რომლებიც თავის აზრსა და საქმეში ეროვნულ მიმართულებას და, მაშასადამე, ჭეშმარიტად დემოკრატიულ მიმართულებას ადგანან. ეს მოქმედება მოხდება საქართველოს ხელისუფლების ამავე მიმართულებით ორიენტირებული ნაწილებისათვის მხარდაჭერის სახით, ხოლო თუ ხელისუფლების მხრიდან ასეთი ნაბიჯები არ გადაიდგმება, მაშინ იგივე მოხდება ხელისუფლებისათვის გვერდის ავლით.

4. საქართველოს სახალხო ფრონტმა, მიუხედავად წერილობითი თხოვნისა, ვერ მიიღო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა იმ ნოტას ტექსტი, რომელიც ეხება საქართველოს სახალხო ფრონტის 2004 წლის 11 იანვრის განცხადებას საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე. მაგრამ ჩვენთვის ცნობილია მთელი რიგი რუსული მედიების რეაგირება ამ განცხადებაზე და რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის შესაბამისი განცხადების ის ნაწილი, რომელიც ქართულ ტელევიზიაში ვნახეთ. ამასთან დაკავშირებით დამატებით ვაცხადებთ, რომ სიტყვა „დივერსია“ ჩვენ განცხადებაში გამოყენებულია მხოლოდ იმ ქმედებათა აღსანიშნავად, რომელსაც ჩვენ რუსეთის სამხედრო ბაზაზე დაყრდნობილი რუსული სპეცსამსახურებისაგან მოველით. რაც შეეხება რუსეთს სამხედრო ბაზების გაყვანისათვის ბრძოლის საშუალებებს, მათი შერჩევა მოხდება პირწმინდად პრაგმატული გათვლის საფუძველზე, იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ უცხო მოძალადე ოკუპანტის გაძევება საკუთარი ტერიტორიიდან ყველა სუვერენული სახელმწიფოს და ამ უკანასკნელის ყველა მოქალაქის უფლება და მოვალეობაა.

რაც შეეხება რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებას, იგი ჩვენ მიგვაჩნია იმის უტყუარ სიმპტომად, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტის აზროვნება საქართველოსთან მიმართებაში ჯერ კიდევ იმპერიალისტური სულისკვეთების ჩარჩოებში იმყოფება, რის გამოც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობაში მაქსიმალური სიფხიზლე და მისი ყოველი შემოტევის მოგერიებისათვის,- სიტყვიერი იქნება ეს შემოტევა თუ საქმე განხორციელებული, - მუდმივი მზაობა ჰმართებს.

16.04.2004წ.

# ბიზნესი და პოლიტიკა რუსეთში



რა აზრი და რა ჩანაფიქრი დევს პუტინის მიერ ოლიგარქების წინააღმდეგ დაწყებული ლაშქრობის უკან? ამის გაგება აინტერესებს არა მხოლოდ თვით იმ ოლიგარქებს, არამედ მსოფლიო მაყურებელსაც, რომელიც ფრიად დაინტერესებული თვალით შესცქერის მოვლენათა განვითარებას ამ, დასავლური თვალსაზრისით, უაღრესად არატიპიურ ქვეყანაში, რომელიც დღეს დემოკრატობანას თამაშს ფიქრობს ისე, რომ ხელიდან არ გაუშვას არც შინაურთა მოსათოკი ხელბრკილები და არც გარეულთა დასაშინებელი კეტი. ამ კითხვის პასუხი The Economist-საც აინტერესებს. დღესდღეობით იგი იმ აზრისკენ იხრება, რომ რუსი ნავთობგიგანტის ხოდორკოვსკის დაჭერა ერთ-ერთი ეპიზოდია პოლიტიკური გავლენისათვის ჭიდილისა. ჟურნალი იხსენებს 2000 წლის შეხვედრას ოლიგარქთა ვიწრო წრესთან, სადაც პუტინმა დაახლოებით ასეთი პოზიცია წარმოიდგინა: თქვენი უზარმაზარი სიმდიდრე, რაც განუკითხავი „პრივატიზაციის“ წლებში მიისაკუთრეთ, ტკბილად შეირგეთ, მაგრამ არ გეგონოთ, რომ ის პოლიტიკური გავლენა შეგრჩებათ, რაც მაშინ გქონდათ. ამიტომ ჭკუით იყავითო! პრეზიდენტის რეკომენდაცია ოლიგარქებმა შეისმინეს, მაგრამ ორნი, — თუმცა იქ არ შეჰკამათებიან, — „აუხტნენ“ და სათანადო გასამარჯელოც მიიღეს. ესენი იყვნენ გუსინსკი და ბერეზოვსკი, რომელთაც პუტინის წინააღმდეგ თავისი გავლენის ქვეშ მყოფი მასმედია აამოქმედეს (ეს გუსინკი, სხვათა შორის, ის ბანკირია, რომელსაც 1993 წელს, ხასბულატოვის „თეთრი სახლის“ შტურმის წინ, ერთერთი ანგარიშგასაწევი შეიარაღებული რაზმი ჰყავდა მოსკოვში, რაც თბილისშიც ცნობილი იყო). ამ ცოტა ხნის წინ თავის საპარლამენტო კეტის დატრიალება მოინდომა და გაბედა ხოდორკოვსკიმაც. მისი დაპატიმრებაც სწორედ ამ გაუთვლელ ნაბიჯს ავტომატურად მოჰყვა. რა პირობებს სთავაზობს პუტინი თავის ქვეშევრდომ დიდ ბიზნესს დღეს, ჟურნალის აზრით, ცნობილი არ არის თვით ამ ბიზნესისათვისაც. ზოგი რამ ნათელია: „კრინტი ალარ დაიძრას ამასწინანდელ კონფლიქტზე, რომელსაც გუსინსკი და ბერეზოვსკი ემსხვერპლნენ!“ და „არ დავუშვებთ, რომ ინდუსტრიული პოლიტიკა სხვა არა იყოს რა თუ არა ერთი ჯგუფის მიერ თავისი ინტერესების პოლიტიკური ლობირება სხვა ჯგუფთა წინააღმდეგ!“ პუტინმა მიანიშნა ოლიგარქებს თავისი მშვიდობისმოყვარეობა (სახელდობრ, ის, რომ მათთვის სასურველი გზით ივლის საკუთრების უფლების საკითხებში), მაგრამ ამავე დროს ილაპარაკა დიდი ბიზნესის როლის გადიდების საჭიროებაზე სოციალური პოლიტიკის საკითხებში, რაც გაგებულ იქნა, როგორც იმის მოსწავება, რომ განზრახულია გადასახადების გაზრდა.

პუტინის საუბრის გაურკვევლობა, ჟურნალის აზრით, ინვესტორთა ნერვებზე თამაშობს. აქციების ფასები მკვეთრად დაეცა ხოდორკოვსკის დაპატიმრებისთანავე. ჟურნალი ხაზს უსვამს, რომ პუტინს შეუძლია — თუკი უნდა, — თავის ოლიგარქებს გასაუმჯობესებელი კანონმდებლობის მკაფიო ენით ელაპარაკოს, მაგრამ დღეს იგი გამოცანებით ლაპარაკს არჩევს, რადგან გაურკვევლობა ხელს უწყობს მრუდე ბიზნესს, რომელმაც გადაკრული სიტყვის გაგება კარგად იცის, მაგრამ ხელს არ უწყობს სწორის ზრდას. პუტინის კურსის არჩევანის მიზეზი, ჟურნალის აზრით, არის სურვილი, რომ გადამწყვეტი გავლენა შეინარჩუნოს სწორედ იმ მრუდე ბიზნესზე.

ჟურნალი ზრდილობიანად გვერდს უვლის იმ გარემოებას, რომ პუტინის ზემოხსენებულ სვლებს სხვა პოლიტიკური ფონიც აქვს. სამივე შეძულებული ბიზნესმენი ებრაელია, მაშასადამე, მათდამი მოპყრობა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს პუტინისა და მისი რუსეთის ურთიერთობას მსოფლიო ებრაულ ლობისთან. მაგრამ მის იქით კიდევ სხვა კონიუნქტურა დგას: ებრაელებისადმი დამოკიდებულება გარკვეულწილად განსაზღვრავს რუსეთის ურთიერთობას აშშ-სთანაც. ამიტომ კითხვა დგას: ხომ არ არის პუტინის პოლიტიკა სიმულაცია რუსეთის მზაობისა აშშ-სთან დაპირისპირებისათვის, რასაც, თუ ამერიკელებმა ეს სიმულაცია ირწმუნეს (რაც ნაკლებ ალბათია), შეიძლება რუსეთისადმი ესა თუ ის დათმობა მოჰყვეს?

# ვინ არიან დღეს თავისმკვლელი მოჯაჰედები?

ისტორიას ადამიანები ქმნიან. თუ ვიცით, რანი არიან დღეს მოქმედი ადამიანები, შეგვიძლია განვჭვრიტოთ, საით იმოძრავებს უახლოეს წლებში ისტორია. დღეს, — მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს, — ისტორიის ერთ-ერთ აქტიურ ელემენტს წარმოადგენენ მუსლიმანი თავისმკლელი ტერორისტები, რომლებიც, ძირითადად, იზრაელისა და არაბების კონფლიქტში იბრძვიან. რა სულისკვეთების, რა ასაკის, რა განათლებისა და რა სოციალური წარმოშობის ადამიანები არიან ისინი? ამ თემას (თუ მკითხველს ახსოვს) ვრცლად შეეხო 2001 წლის 12 სექტემბერს (ანუ ნიუიორკის ტერაქტის მეორე დღეს) ბრიტანული გაზეთი „ფაინენშელ ტაიმსი“. მან აღნიშნა, რომ დღევანდელი კამიკაძეები, რომლებმაც ეს ტერაქტი მოახდინეს, აღარ არიან ის 19-20 წლის ახალგაზრდები, რამდენიმე წლის წინ რომ მოქმედებდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, დღეს რომ აფეთქდებიან, ხვალ სამოთხეში გაილვიძებენ და გარშემო 50 ქალწული ეყოლებათ. ამჟამად ტერორისტები ჭკუადამჯდარი, განათლებული და მრავალწლიანი გეგმაშეწონილი წვრთნისუნარიანი ადამიანები არიან, რაც იქიდან ჩანს, რომ მათ ტერაქტამდე „ბოინგის“ მართვის რთული ხელოვნება აითვისეს და რთული ოპერაციისათვის მომზადება მოასწრეს, რასაც წლები სჭირდებაო.

ამჟამად „კამიკაძეობის“ ერთგვარი ფსიქოლოგიური მოდელი უკვე ფართოდ გავრცელებულია და ზემოთ დასმული კითხვაც უფრო დეტალურ ქვე-კითხვებად ნაწევრდება. მათ შორის ისეთი „პროზაული“ კითხვებიც კი არის, როგორიცაა კამიკაძის შოვნის „მაზანდა“ არაბულ ქვეყნებში და სხვაგან. ამჯერად ამ თემის გახსენების მიზეზი ჟურნალ The Economist-ისათვის არის ის, რომ ერთ-ერთი ტერორისტი თავისმკვლელი ინგლისში ქ. შეფილდში მაცხოვრებელი მშვიდობიანი არაბი ახალგაზრდა აღმოჩნდა, რომელიც აღმოსავლური ორთაბრძოლების გაკვეთილებით ირჩენდა თავს.

22 წლის აბდელრაჰმანმა მიატოვა შეფილდში თავისი ფეხმძიმე ინგლისელი მეუღლე და თავისი განზრახვის შესასრულებლად ერაყში გაემგზავრა. ინგლისში მან სამი წელი




იცხოვრა მას შემდეგ, რაც მშობლიური ადენი მიატოვა და ინგლისში პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა. ზოგი მისი მეგობარი ახალ საცხოვრებელ ადგილას, ცხადია, მუსლიმანი იყო, მაგრამ ზოგი არამუსლიმანი, აბდელრაჰმანს ძალიან ესახელებოდა თავისი მაღალი სპორტული კლასი. მატერიალურად უჭირდა. თავისი საბედისწერო მგზავრობის წინ მეგობრებს უთხრა, დუბაიში მივდივარ, რადგან თავი მომაბეზრეს რასისტმა მეზობლებმა, რომლებიც წერილების ყუთში სულელურ მიმართვებს მიტენიდნენ. მწვრთნელის კარიერის პარალელურად, იგი ეუფლებოდა კომპიუტერს. მეზობელი მეჩეთის ხელმძღვანელობა მას თვლიდა სანიმუშო ახალგაზრდად, რომელსაც ძალუძს თავისი კარგი მაგალითით სხვა თავისი თანატოლები შეაკავოს ქუჩა-ქუჩა ხეტიალისაგან და ნარკოტიკების ხმარებისაგან. მისი ამ გამორჩეული ღირსებების წყალობით იგი არ გამხდარა პოლიციის ინტერესის საგანი, მიუხედავად იმისა, რომ შეფილდს რეკორდი აქვს ინგლისის ქალაქთა შორის იქიდან ჯიჰადში (მუსლიმანების საღვთო ომში) წასულთა რაოდენობის მიხედვით (რამდენიმე კაცი). მხოლოდ მას შემდეგ, რაც მან ტერორისტული მიზნით თავი აიფეთქა ავტომობილითურთ ისრაელ-პალესტინის „ფრონტზე“, დააკავა პოლიციამ მისი ოთხი შეგირდი და დაკითხა მისი კოლეგები.

ბოსნიის ომში ინგლისიდან ასობით მუსლიმანი იყო წასული. ინგლისელები რომ ერაყში შევიდნენ, ამ ენთუზიაზმმა შესამჩნევად იკლო. გულმხურვალე ისლამისტები ჩივიან, რომ მუსლიმანთა შეკრებებმაც და ქადაგებებმაც კი იკლო. მაგრამ აქტივობის ეს ზოგადი კლება, როგორც ფიქრობენ, არაა გამოწვეული მხოლოდ პოლიციის გააქტიურებით. მთავარი ფაქტორი ისაა, რომ, ჟურნალის სიტყვით, კამიკაძეებზე [illegible]თხოვნილება ჩამორჩა შეთავაზებას. ბრ[illegible]ანელი კამიკაძის აღჭურვა და ერაყში გა[illegible]ყვანა 2000 დოლარ[illegible] ჯდება, მახლობელი არაბული ქვეყნებიდან ან ჩეჩნეთიდან გად[illegible]კანა კი ოცჯერ ნაკლები.

## სტამბულის ტერაქტები. ვინ ჩაიდინა, რა მიზნით და რატომ თურქეთში?

პირველი კითხვის პასუხი შედარებით მარტივია: ბრიტანელებმა მაშინვე გამოაცხადეს, რომ დამნაშავეა ალ-ქაიდა ან მისი მიმდგომი რომელიმე ორგანიზაცია. მესამე კითხვას რამდენიმე პასუხი აქვს, ერთი და იმავე მიმართულებისა: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თურქეთი ამერიკის მოკავშირეა და ნატოს წევრია. მეორეც, იგი თუმცა ისლამური ქვეყანაა, მაგრამ ხაზგასმულად სეკულარულია (საროა) და დემოკრატიულია დასავლურ წესზე. მესამეც, იგი დაეთანხმა აშშ-ის წინადადებას, განალაგოს თავისი ჯარი ერაყში „ანტიერაყული კოალიციის“ მხარეზე. ეს გეგმა ჩავარდა ქურთების და სხვა ერაყელების გააფრთებული (ჯერჯერობით სიტყვიერი წინააღმდეგობის გამო). ყველაზე რთულია მეორე კითხვა: რა იყო ტერორისტების მიზანი? თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველი ორი აფეთქება (ერთსა და იმავე დღეს) მოხდა სინაგოგებთან, ერთ-ერთი მიზანი შეიძლება ყოფილიყო თურქეთისა და ისრაელის სამხედრო თანამშრომლობის დასუსტება (ეს თანამშრომლობა ინტენსიურია და საკმარისად ძველია. სხვათა შორის, თურქეთი ისრაელური იარაღის დიდი მუშტარია). ეს მიზანი მიღწეული არ იქნა, პირიქით: თურქეთის ხელისუფლებამ და ხალხმა ძალიან გულწრფელად მიუსამძიმრეს ებრაელებს მათი მსხვერპლი. მეორეც, მოტივი შეიძლებოდა ყოფილიყო ისლამისტური წრეების (ეს წრეები თურქეთში ძალიან ძლიერია) გაღიზიანება იმის გამო, რომ თურქეთი პირველი ისლამური სახელმწიფოა, რომელმაც ისრაელი ცნო და, საერთოდ, სრულებით განზე დგას მუსლიმანური ანტიისრაელური ფრონტისაგან.

მკითხველს შევახსენებთ, რომ პირველი ორი აფეთქება მოხდა სტამბოლის სინაგოგებთან. მესამე და მეოთხე მოხდა ბრიტანულ ბანკთან და ბრიტანეთის საკონსულოსთან, სულ დაიღუპა 6 ებრაელი და ცხრამეტი არაებრაელი, დაიჭრა 300 კაცი. პროისლამურმა თურქულმა გაზეთმა აფეთქებები მიაწერა ისრაელის საიდუმლო სამსახურებს და „სი-აი-ეის“ (აშშ-ს „დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოს“).

## სერბი ნაციონალისტების გამარჯვება

საინტერესოა თვით ფაქტიც და მისი შეფასებაც ჟურნალში The Economist სერბიის რადიკალური პარტიის მეორე პირმა ნიკოლიჩმა (პირველი პირი სესელიჩი პატიმრობაშია სამხედრო დანაშაულთა გამო და ჰააგის სასამართლოს წინაშე წარდგომას ელის), საპრეზიდენტო არჩევნებში მოუგო მთავრობის კოალიციას. მართალია, იგი პრეზიდენტი ვერ ხდება (არჩევნებში ამომრჩეველთა მცირე მონაწილეობის გამო), მაგრამ ხალხის განწყობილებაზე ეს ფაქტი მაინც ნათლად მეტყველებს. ამავე განწყობილებას მეტყველებს სერბი ნაციონალისტების გამარჯვებაც საპარლამენტო არჩევნებში 18.XII. ჟურნალი ამას კატასტროფულ ვითარებად თვლის, რადგან ამით ეჭვის ქვეშ დგება სერბების ევროპული სულისკვეთება, ხელი ეშლება ინვესტიციებს და დღის წესრიგში დგება ევროპის დემოკრატთა წყრომის სხვა ნიშანთა გაჩენაც. იმაზე, რომ დასახელებულის გარდა ქვეყნის კატასტროფული თუ არაკატასტროფული მდგომარეობის სხვა ნიშნებიც არსებობს, ჟურნალი არ საუბრობს.

საქართველო

## უცხოეთი

### ფოლადი ჩინეთში



როგორიც არ უნდა იყოს შავი მეტალურგიის რეალური როლი თანამედროვე ეკონომიკაში, ფსიქოლოგიურად იგი სტალინური სტრატეგიის („დავეწიოთ და გავუსწროთ") მოტრფიალეთა — მიზანმიმართული ეკონომიკური რევანშის მაძიებელთა — მისწრაფებებისა და იმედების ცენტრალურ პუნქტად რჩება. სამოციან წლებში საბჭოთა კავშირმა უკვე მეტი ფოლადის გამოდნობა დაიწყო, ვიდრე აშშ ადნობდა (თუმცა, რასაკვირველია, ეს რეალურად არ ნიშნავდა, რომ „ხალხთა საპყრობილემ" და „ბოროტების იმპერიამ", როგორც მას შემდგომ წლებში ეწოდა, ეკონომიკურად გაუსწრო ამერიკელებს). დღეს ჩინეთი 220 მილიონ ტონა ფოლადს ადნობს წლიურად (რაც უზარმაზარი ციფრია) და 246 მილიონს მოიხმარს თავისი ძალიან სწრაფად მზარდი ეკონომიკის მოსამარაგებლად (იმდენად სწრაფად, რომ ამან მსოფლიო ბაზარზე ფოლადის ფასების აწევა გამოიწვია). ამასთან ერთად ხდება სახელმწიფო საწარმოთა სწრაფი შეყვანა (ამა თუ იმ ფორმით) თავისუფალი ეკონომიკის ზონაში, მათი სწრაფი გადაიარაღება და მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ნიშნულზე გასვლა. ჩინური მეტალურგიის კონკურენტუნარიანობისთვის მძლავრი დადებითი ფაქტორია მუშახელის სიიაფე, უარყოფითი ფაქტორია სოციალისტური მემკვიდრეობა დიდი სოციალური ტვირთებისა, როგორიცაა წამგებიან საწარმოთა აკიდება და მუშახელის სოციალურ საჭიროებებზე სავალდებულო ზრუნვა.

# რას ნიშნავს პოლიტიკის შეცვლა ერაყში?

ერაყის მიმართ პოლიტიკის შეცვლა, რაც გამარჯვებულმა აშშ-მა მოახდინა ამ ცოტა ხნის წინ, მკვეთრია. ამერიკელმა მმართველმა გენერალმა პოლ ბრემერმა გადაწყვიტა, რომ არჩევნებამდე ძალაუფლება ერაყელებს გადასცეს. The Economist კითხვას სვამს: ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ომის ერთი მიზანთაგანი — ერაყში დემოკრატიის შეტანა — ამერიკელებისთვის ისევე ძნელი აღმოჩნდება, როგორც მეორე მიზანი აღმოჩნდა — ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის პოვნა?

ბევრნი ეჭვობენ, ვაი თუ ამერიკელები, რომლებიც პარტიზანულმა ომმა გასაჭირში ჩააგდო, ახლა, უბრალოდ, ცდილობენ დრო მოიგონ უფრო სწრაფი და ქმედითი სტრატეგიის მოსანახავად. ბრემერის პირველადი შვიდსაფეხურიანი გეგმა გულისხმობდა ჯერ კონსტიტუციის დაწერას, შემდეგ არჩევნების ჩატარებას და მხოლოდ ამის შემდეგ — დაახლოებით 2005 წელს — ძალაუფლების გადაცემას ერაყელებისათვის. შიიტური უმრავლესობა ლამობდა ისეთი კონსტიტუციის მოაზრებას, რომელიც არ ეწყინებოდათ სუნიტურსა და ქურთულ უმცირესობებს. ახლა ბრემერი ფიქრობს, ერთიმეორეს დააცილოს კონსტიტუციის შექმნისა, და მთავრობის შექმნის პროცესი: მას უნდა ძალაუფლება გადასცეს არაპირდაპირი წესით არჩეულ დროებით მთავრობას, ხოლო საკანონმდებლო კრების არჩევა, პარალელურად, ამზადოს და ამზადოს 2005 წლისთვის და შემდეგ ჩაატაროს კიდეც.

მრავალნი ეჭვობენ, რომ ბრემერს ეშინია საარჩევნო ყუთისა, ანუ ამერიკელთა პოზიციის გამარჯვების იმედი არა აქვს. ფიქრობენ აგრეთვე, რომ არჩეული ხელისუფლება შერჩეულს სჯობია. მაგრამ თუ უსაფრთხოება არ დამყარდა, არჩევნების შედეგები ძნელად თუ იქნება ადექვატური. რა მოჰყვება, მაგალითად, ერთი-ორი მანქანა ფეთქებადი მასალის აფეთქებას საარჩევნო უბნებთან? ან მეტისმეტად ადრე ჩატარებულ არჩევნებს, სადაც ხმას მიიღებენ ანტიამერიკელები და არაბი ნაციონალისტები ან ისლამისტი რადიკალები?

ამიტომ ბრემერი ახლა იმ აზრზეა, რომ დროებით მმართველ საბჭოსა და ადგილობრივ საბჭოებს, მათ წარმომადგენელთა სახით, აარჩევინოს ეროვნული ასამბლეის წევრები, ხოლო ამ წესით შედგენილმა ასამბლეამ, თავის მხრივ, შეარჩიოს რეალური ძალაუფლების მქონე დროებითი მთავრობა. ეს უნდა მოხდეს უფრო სწრაფად, ვიდრე მანამდე დაგეგმილი პროცედურა იყო განზრახული. ბრემერის დღეს არსებული მმართველი ორგანოს განცხადებით, ეს ნიშნავს „ბალახის ფესვების შექმნას" ანუ ორმოცწლიანი დიქტატურის შემდეგ ხალხისათვის დემოკრატიის ანბანის სწავლებას „ნულიდან მოყოლებული და ზევით". მაგრამ, ერაყელები ეჭვობენ, ეს განზრახვა ეგებ სხვას არაფერს ნიშნავს გარდა იმისა, რომ ამერიკელები სკრუპულოზურად შეარჩევენ იმათ, ვინც უნდათ, და გააგრძელებენ მართვას ისე, როგორც სწადიათ. ასეთი დემოკრატია არაფრით ემჯობინება იმას, რომელიც ერაყის მეზობლებში — ირანსა და იორდანიაში — არსებობს.

პრაქტიკულად, თქმული იმას ნიშნავს, რომ განზრახულ პროგრამას ხალხის მანდატი არა აქვს. გაურკვეველია (და, პრაქტიკულად, ამერიკელთა მიერ გადაწყდება), როგორ და ერაყის 17 ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავებული 18 რეგიონის რა წარმომადგენლობით შედგება დამფუძნებელი კრების შემადგენლობა. ამ გადაწყვეტილების პარალელურად მიღებული უნდა იყოს გადაწყვეტილება იმის შესახებაც, როგორი იქნება ფიქსირებული შუალედური კონსტიტუცია, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად განსაზღვრავს თუ როგორი იქნება ფედერალიზმის ზომა და როგორი იქნება რელიგიის როლი სახელმწიფო საქმეებში მანამდე, სანამ კონსტიტუცია არ შეიქმნება და პლებისციტით არ დამტკიცდება.

გარდა ამისა, მმართველ საბჭოს ეძლევა და მიეცემა უფლებამოსილება იმისათვის, რომ აწარმოოს მოლაპარაკება და შეთანხმებები დადოს ერაყში ამერიკული ძალების დგომის შესახებ „უფრო მოკავშირე ქვეყნის სტატუსით, ვიდრე ოკუპირებული ქვეყნისა". ამერიკელებს განზრახული აქვთ თავისი ბაზების განუსაზღვრელი ხნით დატოვება ერაყში, ისევე, როგორც გერმანიაში და იაპონიაში ჰყავთ. გავლენის მექანიზმია ის 15,6 მილიარდი დოლარიც, რომელიც აშშ კონგრესს გამოყოფილი აქვს ერაყის რეკონსტრუქციისათვის.

მაგრამ ბევრნი ფიქრობენ, რომ ამ პოლიტიკით შესაძლოა ამერიკელებმა ვერ შექმნან შთაბეჭდილება, რომ მართლაც ახდენენ ძალაუფლების გადაცემას ერაყელებისათვის, და ამით საერთაშორისო აღიარება მიიღონ.

დღესდღეობით გაერო არ ქმნის შოუს, თითქოს ერაყში პროცესს იგი მართავდეს. ამერიკელები შეიძლება შეეცადნენ, რომ გაეროს ახალი რეზოლუცია მიიღონ, რომელიც მათ ახალ პოლიტიკას მხარს დაუჭერს. მაგრამ ვიდრე ეს არ მოხდება და ვიდრე ბაღდადში მათი ტანკები გრიალებს, მსოფლიო იმ აზრის იქნება, რომ ერაყელი მთავრობა მათი მარიონეტია.

სირთულეს ქმნის ის, რომ თუ ერაყს მისი სუვერენიტეტი დაუბრუნეს, ამით მას უფლება ეძლევა სამხედრო ხელშეკრულებები დადოს ვისთანაც უნდა, მათ შორის ირანთანაც, ვისკენაც შიიტი სამღვდელოება ისწრაფის, თუმცა ცდილობს თავისი თავი თანამედროვე დემოკრატებად დახატოს. ამ რთული სიტუაციის ფონზე მაინც თვალში საცემია პოლიტიკისა და იმედის გამოცოცხლება ბრემერის ახალი გეგმის ამუშავების გამო. ამ პოლიტიკის პარალელურად ამერიკელები, რა თქმა უნდა, რეპრესიებსაც მიჰმართავენ, მაგალითად, 60 შიიტი აქტივისტი დაპატიმრებული ჰყავთ და სისტემატურად ბომბავენ ჰაერიდან სუნიტების წინააღმდეგობის ცენტრებს (ამ ოპერაციას ეწოდება „რკინის ურო"). ბრემერისთვის მძიმე პრობლემებია, ჯერ ერთი, ჰუსეინის პარტიის, „ბაასის" მკვეთრი აღმოფხვრა, რაც ერაყს ტოვებს ადმინისტრაციული კადრების გარეშე. მეორეც, არმიის სრული დათხოვნა ქმნის ასიათასობით უკმაყოფილოს, რომელნიც ქუჩისთვის „საზარბაზნე ხორცს" ქმნიან.

# შუა აზიის ნავთობში

პრობლემები, რომლებზედაც დიდი პრესა ფრთხილად წერს ან სულაც არ წერს დიპლომატიური მოსაზრებების გამო, წიგნებში ხვდებიან, წიგნებიდან კი მათს რეცენზიებში, რომლებსაც ისევ ეს პრესა ბეჭდავს. ასეთია „The Economis"-ის რეცენზია სათაურით „ემმაკის ცრემლები" კლეველანის წიგნზე „სისხლი და ნავთობი ცენტრალურ აზიაში". წიგნის ავტორი თვლის, რომ შუა აზიასა და კავკასიაში ადამიანებს ესმით, თუ რას ნიშნავს ეს მეტაფორა. შუა აზიამოვლილმა და კავკასიამოვლილმა ჟურნალისტმა, რეცენზენტის სიტყვით, საკუთარი თვალით ნახა მსოფლიო ძალთა კიდევ ერთი ახალი „დიდი თამაში", რომელშიც პრიზი და მოთამაშენი სხვანი არიან, ვიდრე XIX ს-ში იყვნენ, მაგრამ არსი იგივეა. სახელდობრ, პრიზი ინდოეთი კი არაა, არამედ გაზისა და ნავთობის რესურსები — შესაძლებელია, უდიდესი ჯერჯერობით ხელუხლებელი ენერგეტიკული მარაგი მსოფლიოში, მოთამაშენი კი მეფის რუსეთისა და კოლონიური დიდი ბრიტანეთის ნაცვლად არიან აშშ, ნაკომუნისტარი რუსეთი, ჩინეთი, ირანი და პაკისტანი.

აშშ სსრკ-ს დაშლის მომენტიდანვე ინტერესით უმზერს შუა აზიის ნავთობს, ჯერ ერთი, თავისი მზარდი ენერგეტიკული შიმშილის დაკმაყოფილების, მეორეც — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე თავისი დამოკიდებულობის შემცირების მიზნით. რუსეთი დიდი შეშფოთებით ადევნებს თვალს ამერიკელების გავლენის „მცოცავ ზრდას" და ლამობს თავისი გავლენის შენარჩუნებას თავის ამ „უკანა ეზოში". ჩინეთს ნავთობიც აინტერესებს და იმის შესაძლებლობაც, რომ აღკვეთოს თავის დასავლეთ საზღვართან ისეთი არასასურველი უცხოელების მიახლოვება, ვისაც შეუძლია „შეუჩუჩხუროს" ჩინეთის დასავლეთ პროვინციაში — სინძიანში — მაცხოვრებელ უიღურებს (თურქული მოდგების დიდი ნაცუმცირესობაა), რათა მათ სეპარატიზმისკენ უბიძგოს.

გასაგებია, რომ ნავთობსადენთა პოლიტიკა,



ანუ მათ მიმართულებათა არჩევანი, სტრატეგიის უარსებითესი ელემენტია. ამერიკელები არჩევენ აზერბაიჯან-საქართველო-თურქეთის გზას, რუსეთის გვერდის ავლით, მოსკოვს კი უნდა ნებისმიერი გზით შეინარჩუნოს კონტროლი კავკასიური ნავთობის გზაზე. ჩინეთი ეთათბირება ყაზახისტანს ნავთობის აღმოსავლეთისკენ წამოყვანის შესაძლებლობებზე. ირანი, რომელსაც ნავთობი სამხრეთში აქვს, მომხმარებელი კი ჩრდილოეთის პროვინციებში ჰყავს, ოცნებობს სანავთობე გარიგებებზე შუა აზიელებთან, რაც ამერიკელებისთვის კოშმარია. პაკისტანს კი უნდა ნავთობის გამოტარება ავღანეთზე, რასაც ძალიან დაბალი ალბათობა აქვს.

წიგნის ავტორი მთელი რეგიონის დღევანდელ არასტაბილურობის ფაქტორად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ნავთობის წყურვილს თვლის. რუსეთი კავკასიის ეთნიკურ კონფლიქტებს სწორედ ამიტომ აწყობსო, რადგან ამით ამერიკული გეგმების ძირის გამოთხრას იმედოვნებსო. „აშშ ანტიტერორისტულ ომს საბაბად იყენებენ სამხედრო მყოფობისათვის შუა აზიაში. ყველა ზემოჩამოთვლილნი ასე თუ ისე ჩარევას ახორციელებენ ავღანეთში". (რატომ აქვს აშშ-ს ესოდენ სასიცოცხლო ინტერესი ცენტრალურ აზიაში, ამის არაეკონომიკურ, სტრატეგიულ ფაქტორს ჟურნალი — და — როგორც ჩანს, არც ავტორი, — არ ასახელებს. რედ). მაგრამ ახალი თავისუფლებამოპოვებული ქვეყნებიც ამბობენ თავის სიტყვას. „ჩვენ გვჭირდება დიდი ნავთობსადენი იმისთვის, რომ აშშ მომხრედ გვყავდეს რუსეთის საპირისპიროდ — გვიხსნის ერთი ქართველი დიპლომატი. — საქართველოს სხვა არაფერი აქვს მსოფლიოსთვის მისაცემი. ჩვენ უნდა გავყიდოთ ჩვენი გეოგრაფიული მდგომარეობა". მაგრამ, ავტორის სიტყვით, ბევრნი აკრიტიკებენ ამერიკელებს იმის გამო, რომ ნავთობის ეშხით მხარს უჭერენ შუა აზიის დესპოტურ მთავრობებს.

ჟურნალის სიტყვით, წიგნის ავტორი, მიუხედავად დიდი ისტორიული ჰორიზონტისა, მაინც აუბრალოებს თავის ანალიზს იმით, რომ დასავლეთის პოლიტიკა ხსენებულ რეგიონში უბრალო სანავთობე იმპერიალიზმზე დაჰყავს. რას გულისხმობს ჟურნალი, ნათელია: ეს არის სწორედ ის გეოსტრატეგიული ინტერესი, რომელსაც შუა აზიაში სხვებზე ადრე შესვლა და დასავლური დემოკრატიის იქ სწრაფად დამკვიდრება ჰქვია.

**რედაქციისგან.** მკითხველს გვინდა შევახსენოთ ორი რამ. პირველი: გაზეთმა „საქართველომ" დასავლეთის ზემოხსენებული სტრატეგიული ინტერესი ახსენა ჯერ კიდევ 2001 წლის 2 სექტემბრის ნომერში, ანუ ორი კვირით ადრე, ვიდრე პირველი ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი შუა აზიაში დაეშვებოდა. მეორე: პროგნოზი, რომ მესამე მსოფლიო ომი თუ დაიწყება, იგი დაიწყება ან ბალკანეთში, ან კავკასიაში, საქართველოში ცნობილი იყო ჯერ კიდევ 70-იან წლებში. ბალკანეთში იგი არ დაიწყო, რადგან რუსეთმა იქ მიმდინარე პროცესს — თავისი პოზიციების კარგვას — წინააღმდეგობა ვერ გაუწია. დღეს დღის წესრიგში კავკასიაა. გაწევს თუ არა რუსეთი წინააღმდეგობას ამჯერად? ამის ალბათობას დღეს, ალბათ, მხოლოდ თეორიული ხასიათი აქვს.

## უცხოეთი

### ბერძნებს მეჩეთების პრობლემა აქვთ



რატომ არიან ბერძნები იძულებულნი, თავის ქვეყანაში მეჩეთები ააშენონ? იმიტომ, რომ წინაამდეგ შემთხვევაში არ ჩატარდება ოლიმპიური თამაშები მათ ქვეყანაში. 2004 წლის ზაფხულამდე უნდა აიგოს მეჩეთი ისეთ ადგილას, რომ ოლიმპიური თამაშების მუსლიმან მონაწილეებს იქ სალოცავად მოსვლა არ გაუჭირდეთ. საბერძნეთის მოსახლეობის 98%-ის სულიერი მამა, არქიეპისკოპოსი ქრისტოდულოში არ არის აღტაცებული იმ გეგმით, რომ ათენის მახლობლად ქ. პეანიაში აიგოს მუსლიმანური კულტურული ცენტრი (საუდის არაბეთის დაფინანსებით), რომლის ერთ-ერთი ელემენტი იქნება მეჩეთი. მღვდელმთავარს თავისი წინაალმდეგობის საბუთად ის მოჰყავს, რომ ცის კაბადონზე აწვდილმა მინარეთმა შესაძლოა ჩამომსვლელთა მასას არასწორი აზრი შეუქმნას აქაურთა აღმსარებლობის შესახებ. მას მხარს უჭერს ადგილობრივი მრევლი, რომელმაც ამ ილუზიის გასაფანტავად იმ მაღლობზე, სადაც მეჩეთი უნდა აშენდეს, მის საპროექტო სიმაღლეზე უფრო მაღალი ჯვარი აღმართა.

შეთანხმების მიხედვით, მეჩეთი უნდა მზად იყოს ოლიმპიურ თამაშთა გახსნის დღისათვის (13.VIII). იგი საკმარისად დიდი უნდა იყოს, რათა მოემსახუროს 100 ათას ადგილობრივ მუსლიმანსაც და ურიცხვ უცხო ტურისტსაც.

### ბუში ბრიტანელთა თვალით



ბუშის ამასწინანდელი ვიზიტი ინგლისში ცოტა ხნით ადრე შედგა, ვიდრე ამერიკელები სადამ ჰუსეინს შეიპყრობდნენ და ბუშის დაქვეითებული ავტორიტეტი კვლავ აღმა მოძრაობას დაიწყებდა. ამგვარად, ქვემოთ მოყვანილი გამოკითხვის შედეგები ბუშის პოპულარობის ყველაზე დაბალ ნიშნულს ასახავს. აი, ეს შედეგები:

კითხვა: თვლით თუ არა გამართლებულად სამხედრო დარტყმას სადამ ჰუსეინის გადასაგდებად?

| პასუხი | სულ | ქალები | 18-24 წლისანი | ლეიბორისტ. ხმისმიმცემნი |
|---|---|---|---|---|
| ჰო | 47 | 42 | 36 | 57 |
| არა | 41 | 45 | 53 | 33 |

კითხვა: როგორ ფიქრობთ, ამერიკა კეთილი ძალაა თუ ბოროტი ძალაა მსოფლიოში?

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კეთილი | 62 | 55 | 57 | 66 |
| ბოროტი | 15 | 17 | 31 | 15 |

კითხვა: მიესალმებით ბუშის ვიზიტს ბრიტანეთში თუ ფიქრობთ, რომ ჯობდა იგი არ ჩამოსულიყო?

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მივესალმები | 43 | 35 | 47 | 51 |
| ჯობდა არ ჩამოსულიყო | 36 | 42 | 34 | 34 |

# ეროვნული უსაფრთხოების ერთი აქტუალური საკითხის შესახებ

სამხედრო სფეროშიც, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა დარგში, სპეციალისტების ჩამოყალიბება და განვითარება ხდება თანდათანობით — მარტივიდან რთულისაკენ. მსოფლიოს წამყვან სამხედრო სახელმწიფოებში სახმელეთო ჯარების ოცეულების, ასეულების, ბატალიონების, პოლკების, ბრიგადებისა და დივიზიების ორგანიზაცია, შეიარაღება და საბრძოლო მოქმედებები შედის ტაქტიკის სფეროში, სამი-ექვსი დივიზიისა და უზრუნველყოფის ერთეულებისგან შემდგარი საარმიო კორპუსების, მათი ზემდგომი საველე არმიებისა და არმიების ჯგუფების მოქმედებები — ოპერატიული ხელოვნების, ხოლო ომის თეატრის და თეატრებშორისი ურთიერთმოქმედების საკითხები — სტრატეგიის სფეროში.

აშშ არმიაში დივიზია წარმოადგენს უმაღლეს ტაქტიკურ შენაერთს და მას მეთაურობს გენერალ-მაიორი, საარმიო კორპუსი — ოპერატიულ-ტაქტიკურ შენაერთს (გენერალ-ლეიტენანტი), საველე არმიები მშვიდობიანობის დროს მხოლოდ ნომინალურ დონეზე ფუნქციონირებს. ევროპულ ომის თეატრზე ნატოს კოალიციური ძალების მთავარსარდლობა ეკუთვნის აშშ არმიის გენერალს (ანუ სრულ გენერალს). აი, ასეთი რანგის სამხედრო სპეციალისტები საქმიანობენ ნებისმიერი ქვეყნის ტაქტიკის, ოპერატიული ხელოვნებისა და სტრატეგიის სფეროში.

როდესაც ლაპარაკობენ ეროვნული უსაფრთხოების, ომისათვის ქვეყნის მომზადებისა და სამობილიზაციო ღონისძიებების გატარების შესახებ, აქ სამხედრო სპეციალისტებთან და ამ დარგის სამოქალაქო ექსპერტებთან ერთობლივად და კოორდინირებულად უნდა მუშაობდნენ საგარეო ურთიერთობების, სპეცსამსახურების, ეკონომიკის, სამოქალაქო თავდაცვის, განათლების, ჯანდაცვის, ეკლესიის და სხვა სპეციალისტები.

რაც შეეხება გეოსტრატეგიას, გეოპოლიტიკას, გეოეკონომიკასა და სხვა მომიჯნავე დარგებს, აქაც სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად უნდა საქმიანობდნენ შესაბამისი განათლების, ცოდნისა და გამოცდილების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები. ჩვენთან კი ვხედავთ საპირისპიროს. დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში „გასეირნების“ მოსურნე ქართველი ახალგაზრდები და არა მარტო ისინი, სამხედრო საქმის ისტორიის, თანამედროვე მდგომარეობის, ტაქტიკისა და ოპერატიული ხელოვნების შესწავლის გარეშე პირდაპირ მიადგებიან სამხედრო სტრატეგიის, გეოსტრატეგიის, გეოპოლიტიკის შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურას და, სათანადო საფუძვლის არქონის გამო, ჯერ ერთი, ვერც ამ დარგს ითვისებენ, და მეორეც, დასავლელი ავტორების გავლენის ქვეშ მოქცეულები, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე კი არ აფასებენ შემოთავაზებულ მოდელებსა და სქემებს, არამედ ამ დასავლური მოდელებისა და სქემების საქართველოსა და ქართული საზოგადოებისათვის თავზე მოხვევით არიან დაკავებული.

ეს მოვლენა ჩვენთვის ახალი არ არის. მე-19 საუკუნეშიც იყვნენ ჩვენს ქვეყანაში ადამიანები, რომლებიც „დაწინაურებული ევროპის“ პრაქტიკისა და გამოცდილების საქართველოში მრავალ სფეროში თითქმის პირდაპირ გადმოტანას ესწრაფოდნენ. წლების განმავლობაში ჩვენი სულმნათი ილია მართალი (ჭავჭავაძე) დაჟინებით ეკამათებოდა ასეთ ადამიანებს (ნიკო ნიკოლაძით დაწყებული და რევოლუციონერ მენშევიკ-ბოლშევიკებით დამთავრებული), რომ ნებისმიერი ევროპული (დასავლური) მოდელის, გამოცდილების ან ცოდნის ჩვენს ქვეყანაში გადმოტანა უნდა ხდებოდეს მხოლოდ მისი კარგად შესწავლის, ავისა და კარგის საფუძვლიანად გარკვევისა და ჩვენი ეროვნული ცნობიერების ქარცეცხლში გატარების შემდეგო. და სწორედ ილია მართალი გვიჩვენებდა და დღესაც გვიჩვენებს ჩვენი ეროვნული მოთხოვნილებების, საჭიროებათა და ინტერესების პრიორიტეტების ცხოვრებაში განუხრელად გატარების ნათელ მაგალითებს.

ამის საპირისპიროდ, მაშინაც და დღესაც, რთულ სიტუაციაში იოლად გარკვევის მოსურნე ავტორები არად დაგიდევენ ქვეყნის ინტერესებს და საქართველოს თავდაცვის და ეროვნული ინტერესების სფერო ძნელ კითხვათა პასუხების მარტივად მოპოვების სამსახურში ჩაუყენებიათ. მათ შორის ამჯერად გვინდა დავასახელოთ ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „მშვიდობის, განვითარებისა და დემოკრატიის კავკასიური ინსტიტუტი“ (მოკლედ „კავკასიური ინსტიტუტი“).

ამ ადამიანს, ამ პატივცემულ კოლექტივს, ჩემი შტაბეჭდილებით არ გააჩნია ის ცოდნა, რომელიც აუცილებელია ეროვნული უსაფრთხოების სფეროში კვლევების საწარმოებლად, თუმცა სხვა დარგებთან ერთად მასაც შესჭიდებია და თავისივე ნებით თუ სისუსტით გადაქცეულა უცხოელი სპეციალისტების მიერ შემუშავებული გეოპოლიტიკური სქემებისა და მოდელების ქართული საზოგადოებისთვის თავზე მომხვევ, ხოლო საკუთარი ქვეყნის ნამდვილი ინტერესებისა და უფლებების ვერ შემმჩნევ ერთ-ერთი ჭანჭიკად.

ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ 2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ დავით დარჩიაშვილის წიგნს „პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისა დასამხედრო სამოქალაქო ურთიერთობების ანალიზი)“. ჩვენ არ შევუდგებით ამ სქელტანიანი ნაშრომის მთლიან ანალიზს, მაგრამ ზოგიერთ ცალკეულ მომენტს კი გამოვყოფდით.

სახელდობრ, აღნიშნული წიგნის 32-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ლიბერალიზმისათვის, რომელიც დასავლური ცივილიზაციის მსოფლმხედველობრივი ქვაკუთხედია, ეკონომიკაში უსაფრთხოების პოლიტიკის ობიექტი არსებითად მხოლოდ ლიბერალური საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგია. ლიბერალური ლოგიკით, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ის მონაწილეც, რომელიც წაგებული რჩება, საერთო თამაშის მონაწილეა. ეროვნული ეკონომიკის პრობლემათა უსაფრთხოების პოლიტიკის საგნად წარმოჩენა საერთაშორისო თამაშის წესების შეცვლად აღიქმება და დაგმობილია. მეორე მხრივ, ლიბერალიზმისათვის უსაფრთხოების პოლიტიკის თემად შეიძლება სწორედ ლიბერალური ეკონომიკური რეფორმის მხარდაჭერა იქცეს.

მაგრამ რამდენადაც უსაფრთხოების პოლიტიკაში დიდია სუბიექტური აღქმების, ისტორიულად ჩამოყალიბებული სტერეოტიპების, კონკრეტული სოციუმისა და მისი ელიტის პოლიტიკური კულტურის როლი, მთელი რიგი ქვეყნების უსაფრთხოების დისკურსში შიდა ბაზრის დაცვას, კულტურულ იდენტობას, რელიგიას, ტრადიციების შენარჩუნებას სოლიდური ადგილი უკავია. რუსეთის პოლიტიკოსთა და მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა მოიცავს კულტურულ, დემოგრაფიულ, გენეტიკურ და სხვა სექტორებს; ეკონომიკურ საფრთხედ აღიქმება ისეთი მოვლენები, როგორიცაა „უცხოელთა მიერ შიდა ბაზრის დაპყრობა“, „ზნეობის დაკარგვა“; უსაფრთხოების ობიექტი ხდება „სოციალური და ინდივიდუალური ქცევის მყარი ფორმები, ფასეულობათა სისტემა, რომელთა „დანგრევა თვითმყოფადობის დანგრევას მოიტანს“...

თანამედროვე ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრისთვის ასევე არ არის უცხო მტკიცება, რომ ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებში, რომლის გამოც უდიდესი მსხვერპლი შესაძლებელია, შედის კულტურული თვითმყოფადობა და სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა. ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არის ძალები, რომელთა შემთხვევაშიც მსგავსი შეხედულებები აშკარად ანტიდემოკრატიული ელფერისაა“.

შემდეგ 33-ე და 34-ე გვერდებზე ავტორი წერს „უსაფრთხოებისა და საერთოდ, პოლიტიკის სფეროში ყოველ აქციას რეაქცია მოსდევს. კონკრეტული პოლიტიკური ერთობის მიერ კულტურის, ტრადიციების, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესებისა თუ ეკონომიკის რადიკალური „გაუსაფრთხოება“ სხვათა მიერ შესაძლოა მტრულ ნაბიჯებად აღიქმებოდეს. თუ ეს „სხვა“ უშუალო მეზობელი, საერთაშორისო თანამეგობრობა, ან თუნდაც საკუთარი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილია, ასეთმა უსაფრთხოების პოლიტიკამ შეიძლება საპირისპირო შედეგი გამოიღოს.

1998 წლის 13 ოქტომბერს, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩატარებულ სემინარზე, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიას მიეძღვნა, საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში საერთაშორისო მრჩეველთა ჯგუფის წევრებმა გენერალმა ჰარი ჯონსონმა (გაერთიანებული სამეფო) და დევიდ ოკმანეკმა (აშშ) აღნიშნეს, რომ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ამსახველი დოკუმენტი არ უნდა მოიცავდეს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროს; ერვონული უსაფრთხოების რიტორიკა ხელს უნდა უწყობდეს სტაბილურობას, კეთილმეზობლურ ურთიერთობასა და საზოგადოებრივ ტოლერანტობას.

ასეთია უსაფრთხოების ცნებისა და პოლიტიკისადმი დასავლეთის მიდგომა და ვინც ევროატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურაში ინტეგრაციაზე ფიქრობს, ამ სივრცეში ლიბერალური შეხედულებების დომინანტობა უნდა გაითვალისწინოს“.

მოვიყვანთ ადგილს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჟურნალიდან „The Economist“, სადაც ცალსახად წერია, თუ რა არის პრიორიტეტული ამერიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკისათვის: ესაა ეროვნული ინტერესი.

ილუზიაა იმედის ქონა, რომ სუპერძალა (იგულისხმება: აშშ) მოუწონებს თავის ისეთ ინსტიტუტთა დაცვას და ისეთ კავშირთა ერთგულებას, რომელთა ჯამური ეფექტი მას შეაფერხებს საკუთარი საკუთარი სასიცოცხლო ინტერესებისათვის ბრძოლაში (The Economist 22.11.2003. გვ.11)“.

როგორც ვხედავთ, დასავლელი ავტორების კვალდაკვალ, ბატონი დარჩიაშვილის აზრით ქვეყნის ეკონომიკური და სხვა ინტერესები უნდა დაექვემდებაროს დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების და მათი პოლიტიკის წარმმართველი კულისებსმიღმა საერთაშორისო ძალების მიერ დანარჩენი მსოფლიოსთვის თავსმოხვეული თამაშის წესებს, და ივქე ჩადებულია, რომ წაგებული მოთამაშეც ისეთივე მოთამაშეა და მასაც ადგილი აქვს „დიდ საჭადრაკო დაფაზე“.

როგორც საკუთარი ქვეყნის გულშემატკივარმა ერთმა ქართველმა ფინანსისტმა (ჩვენმა მეგობარმა) განგვიმარტა, 1995-1998 წლებში საქართველოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შეადგენდა 1 მლრდ ლარზე ცოტა მეტს, და მაშინ ეს თანხა უტოლდებოდა 700-750 მოლნ ამერიკულ დოლარს. ამავე წლებში ჩვენში სულ უფრო მყარად მოიკიდეს ფეხი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა, რომელთა რეკომენდაციების შედეგად (მათ შორის სახელმწიფო ხაზინის შექმნა, რომელიც შემდეგ კორუფციის ბუდედ გადაიქცა) ლარი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა და თუმცა დღესდღეობითაც ჩვენი წლიური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ისევ 1მლრდ ლარის ფარგლებშია, მაგრამ ეს თანხა უკვე შეადგენს დაახლოებით 450 მლნ ამერიკულ დოლარს. ანუ თუნდაც 1996 წელთან შედარებით დღეისთვის საქართველოს ბიუჯეტი შემცირებულია 250-300 მლნ ამერიკული დოლარით. ასეთია წაგებული მოთამაშის ხვედრი, სამაგიეროდ იგივე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები 20-30 მლნ დოლარის კრედიტს გვაძლევენ და იმასაც გვკარნახობენ, როგორ დავხარჯოთ იგი.

მეორე მხრივ წაგებულია საქართველო შიდა კონფლიქტების დარეგულირების სფეროშიც. სამაგიეროდ თავისივე ქვეყნის უბედურებაზე ხელის მოთბობას მიჩვეული ქართველი მოხელეების ერთი ნაწილი, არასამთავრობოები და ჟურნალისტები სისტემატურად დადიან ჟენევასა და სხვა ქალაქებში, მონაწილეობენ სხვადასხვანაირ ღონისძიებებში, ერთობიან, ისვენებენ, ხოლო შემდეგ თბილისში ჩამოსულები ტელევიზიითა და პრესით უყვებიან ქართულ საზოგადოებას, როგორ გულდაგულ იბრძოდნენ მორიგ სამიტზე აფხაზეთიდან თუ შიდა ქართლიდან წამოსული ლტოლვილების ინტერესების დასაცავად, როგორი სასიკეთო ძვრები დაისახა სამომავლოდ და ა.შ. და საერთაშორისო თამაშში წაგებული ქვეყნის ეს „მოგებული“ მედროვეები მორიგი ტყუილებით „აიმედებენ“ ქართულ საზოგადოებას. და ეს ყოველივე ბატონ დარჩიაშვილს მისაღებად მიაჩნია, ვინაიდან იგი ევროატლანტიკურ სივრცეშია მიღებულ...

***ირაკლი ხართიშვილი***

# გავხადოთ რეალობა — სასურველი!

## ქვეყანაში ჯერ ისევ ვარდების სუნი დგას

ამერიკული დემოკრატიის მამად წოდებული თომას ჯეფერსონი „დამოუკიდებლობის დეკლარაციაში" წერდა: „ჩვენთვის თავისთავად ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანები შექმნილნი არიან, როგორც თანასწორი არსებანი, რომ მათ ღვთის მიერ მინიჭებული აქვთ გარკვეული ხელშეუვალი უფლებები, როგორიცაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ ლტოლვა.

რომ ამ უფლებათა განსამტკიცებლად იქმნებიან მთავრობები, რომლებიც თავიანთ კანონიერ ძალაუფლებას ღებულობენ მათივე თანხმობით, ვისაც ისინი განაგებენ.

რომ თუ მართვის რაიმე ფორმა ოდესმე ამ მიზნის შემლახავი გახდება, ხალხს უფლება ეძლევა შეცვალოს, ან გააუქმოს იგი და შეჰქმნას ახალი ხელისუფლება, როგორიც მისი აზრით, ყველაზე ხელსაყრელი იქნება მისი უსაფრთხოებისა და ბედნიერებისათვის. ჭეშმარიტად კეთილგონიერება მოითხოვს, არ იქნას შეცვლილი დიდი ხნის ჩამოყალიბებული განმგებლობა უმნიშვნელო და წარმავალი მიზეზების გამო და ამის შესაბამისად, წარსულის გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ სანამ ბოროტება გასაძლისია, ადამიანები უფრო ადვილად ეგუებიან სიდუხჭირეს, ვიდრე მიჩვეულის მოსპობით ტვირთის შემსუბუქებას, მაგრამ როდესაც გაუთავებელი უსამართლობა და ძალაუფლების ბროტად გამოყენება, მისი გამუდმებით ერთი მიზნისაკენ წარმართვა ხალხს აბსოლუტური დესპოტიზმით ემუქრება, მისი უფლება და ვალია ბოლო მოუღოს ამგვარ ხელისუფლებას და აღავლინოს მოღვაწეთა ახალი დასი თავისი მომავალი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად" (ამერიკის კონგრესი 1776 წლის 4 ივლისი).

1948 წ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლეამ მიიღო „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია", რომლის პრეამბულაში ვკითხულობთ: „აუცილებელია ადამიანის უფლებებს იცავდეს კანონის ძალა იმის უზრუნველსაყოფად, რათა ადამიანი იძულებული არ გახდეს. მიმართოს აჯანყებას, როგორც უკანასკნელ საშუალებას ტირანიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ".

ამრიგად ქართველი ხალხის პროტესტი და ბრძოლა ქვეყანაში არსებულ რეალობათა შესაცვლელად, სავსებით ჯდება საერთაშორისო სამართლისა და კანონიერების ჩარჩოებში.

სასოწარკვეთამდე მიყვანილმა ხალხმა იხუვლა და გადმოაგდო ქვეყნის პრეზიდენტი, მას თანდათან მიჰყვებიან მისი მაფიოზური კლანის კორუმპირებული წარმომადგენლები, როგორც „შარშანდელი თოვლი" და მათ ადგილს სამართლიანად დაიკავებენ ახლად არჩეული პრეზიდენტის გუნდის წევრები — რევოლუციის „მამები" და რევოლუციის „შვილები", რომელსაც იმედი გაცნობიერებული აქვთ, რომ მალე ხალხი აღნიშნულ დეკლარაციათა სხვა პუნქტების შესრულებასაც მოსთხოვს, კერძოდ: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს იყოს ისეთ ცხოვრებისეულ დონეზე, რომელიც გულისხმობს საკვების, ტანისამოსის, საცხოვრისის, სამედიცინო მოვლისა და სოციალური მომსახურების უზრუნველყოფას, რაც აუცილებელია თვით მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და დოვლათისათვის. ადამიანს აქვს უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, სიბერეში დაუძლურების თუ მისგან დამოუკიდებლად არსებობისათვის სხვა საშუალებების დაკარგვის შემთხვევაში" (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 25, ნიუ-იორკი, 1948 წ).

დიახ, ასეა ეს და ამის გაუთვალისწინებლობა ხალხს კვლავ მიიყვანს რევოლუციამდე.

საქართველოს კონსტიტუციის არასრულყოფილებამ და ნაკლოვანმა მხარეებმა ქვეყნის ელექტორატს მცირედი შეცდომის უფლებაც არ დაუტოვა და იძულებული გახადა, უდიდესი სერიოზულობით მოკიდებოდა პრეზიდენტის არჩევნებს, რადგან პრეზიდენტი საქართველოში რეალურად ქვეყნის ბედის გამგებელია.

პრეზიდენტი ყველა ქვეყანაში პირველი პირია, მაგრამ სხვადასხვა კონსტიტუცია მას სხვადასხვა ხარისხის ძალაუფლებას ანიჭებს. საქართველოს კონსტიტუცია კი აქაც განსაკუთრებულია და იმის მიხედვით პრეზიდენტი — ერთმპყრობელი ანუ დიქტატორია.

ა.წ. 14 დეკემბერს აშშ-ის დაზვერვის თანამშრომლებმა დააკავეს ერაყის ყბადაღებული პრეზიდენტ-დიქტატორი სადამ ჰუსეინი. მისი დაჭერის ფაქტს სიხარულით შეხვდნენ როგორც ერაყის გარეთ, ისე თვით ერაყში. ასე ტრაგიკულად დასრულდა სადამის 20 წლიანი დიქტატურა ერაყელ ხალხზე. მეორე დღეს კი სხვა მუსლიმანური ქვეყანა, აზერბაიჯანი ეთხოვებოდა თავის ყოფილ და „მუდმივ" პრეზიდენტს ჰეიდარ ალიევს. ჰეიდარ ალიევის „დემოკრატობაზე" მისი 35 წლიანი მმართველობაც მეტყველებს, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტი ალიევი იყო საკუთარი ქვეყნისა და ხალხის ჭეშმარიტი შვილი და მრავალი პატრიოტული საქმის წამომწყები და შემსრულებელი.

— „სიკდვილი ბოროტებაა, ღმერთებმა ასე გადაწყვიტეს, თორემ თვითონაც დაიხოცებოდნენ" — წერდა ძველი ბერძენი პოეტი ქალი საფო და მართლაც შეუძლებელია კაცს, კაცის სიკვდილი შეშურდეს, მაგრამ შეუძლებელია პატარა უწყინარი შური არ გასჩენოდათ ჰეიდარ ალიევის ასეთი სახალხო დასაფლავების მნახველ ერაყისა და საქართველოს ექს-პრეზიდენტებს. ალიევი და შევარდნაძე ორივე სტალინური კომუნისტური იდეოლოგიისა და რეჟიმის პროდუქტები იყვნენ, პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე ვერც ერთი ეს სოფლელი ბიჭი ვერ გახდებოდა ქვეყნის მმართველი, მაგრამ ალიევი უფრო მყარად იდგა სამშობლო ქვეყნისა და ეროვნული კულტურის ფესვებზე, მაშინ, როცა მისი ქართველი კოლეგა მთლიანად კომუნისტური ინტერნაციონალიზმის იდეალისტურ ფესვებზე აღმოცენდა და მასზევე დარჩა.

ჰეიდარ ალიევის დაკრძალვას ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების თითქმის ყველა ხელმძღვანელი დაესწრო. ტოლისა და სწორის პირლია სამარეს და მასში ჩაშვებული კოლეგის ხილვას არ შეიძლება მათში არ აღეძრა, ჩვეულებრივ მოკვდავთა გრძნობები: „რა არის ჩვენი ცხოვრება?" და რა არის საჭირო იმისათვის, რომ შენმა ხალხმა ლეონიდ ბრეჟნევივით კი არ ჩაგახეთქოს სამარეში, არამედ ჩაგაბრძანოს და ისე ალალად და გულწრფელად დაგიტიროს, როგორც ჰეიდარ ალიევი.

სადამ ჰუსეინის, ედუარდ შევარდნაძის, ჰეიდარ ალიევის თუ სხვათა მგსავსთა გზა პატარა სოფლიდან პრეზიდენტობამდე და მათი ცხოვრების დებიუტი დიდ პოლიტიკაში, ბევრ რამეში მსგავსი და იდენტური იყო, მაგრამ მათი ტრიუმფის ეპილოგი და ამქვეყნიური ცხოვრების ფინალი ერთობ დიამეტრალური გამოვიდა. ამაზე დაფიქრება არც სხვა და არც მომავალ პრეზიდენტებს აწყენთ.

ქართველი ჟურნალისტები ხშირად უსვამენ ტრადიციულ კითხვას საქართველოს მოქალაქეებს: — „როგორი პრეზიდენტი გინდათ?"

პასუხი ამაზე თითქოს მარტივი და ცალსახაა: „როგორი და კარგი". აი, „კარგი" კი ყველას თავისებურად წარმოუდგენია: ნიჭიერი, განათლებული, კომპეტენტური, ჰუმანური, წარმოსადეგი... მთავარი და მთავარი კი ის არის, რომ პრეზიდენტს თავის ქვეყანაში მაინც არავისი არ უნდა ეშინოდეს. ის უნდა იყოს გამორჩეული, მაგრამ ისეთი, რომელიც სახლიდან სამსახურამდე და პირიქით, დაჯავშნული მანქანითა და კბილებამდე შეიარაღებული დაცვით კი არ ივლის, არამედ ისე, როგორც ნებისმიერი მოქალაქე, რომელსაც შეეძლება გზაში გაჩერდეს, მიესალმოს და გამოელაპარაკოს ნაცნობებსა და თანამოქალაქეებს, შეძლებისდაგვარად გაიზიაროს მათი პრობლემები. — მოკლავენ? — შეიძლება, მაგრამ მკვლელს განა რაიმე დაცვა შეაჩერებს? თვით დაცვის უდიდესი და უნიკალური საშუალებებისა და შესაძლებლობების ქვეყანაში აშშ-ში ოფიციალური მონაცემებით, ოთხი პრეზიდენტი მოკლეს. სკანდინავიის ქვეყნებში სახელმწიფო პრეზიდენტებს დაცვას არ უყენებს, მაგრამ მხოლოდ ერთი შვეციის პრეზიდენტი (ურხოპალმე) იმსხვერპლა ტერორისტის ტყვიამ, თუმცა შვედმა ხალხმა არც ამის შემდეგ ჩათვალა მიზანშეწონილად პრეზიდენტის დაცვისათვის სახსრების გამოყოფა ქვეყნის ბიუჯეტიდან. საინტერესო სტატისტიკაა ხომ? ვის, ვის და ქართველებს მაინც არ უნდა გვეშლებოდეს ის ჭეშმარიტება, რომ „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი", მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენთან არა თუ ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს, გუბერნატორებს, პარლამენტარებს და ა.შ. სხვადასხვა რაოდენობისა და ხარისხის დაცვა ემსახურება. რისთვის და როდემდე? ვინ და რატომ ემუქრება ყველა მათგანს მოსაკლავად?

ხალხის რჩეულებს ხალხი თავად უნდა იცავდეს. რეალურად კი ადამიანებს ხელისუფალთან მიახლოვების ეშინია და ამიტომაც როგორც დემოკრიტე ამბობს: „არავის უყვარს ის, ვისიც ეშინია!"

ჭეშმარიტად დემოკრატიულ ქვეყანას უნდა მართავდეს კანონი და არა პრეზიდენტი. პრეზიდენტი და ყველა ხელისუფალი მხოლოდ თვალყურს უნდა ადევნებდეს, რომ არავინ დაარღვიოს კანონი, მაშინ აღარც პრეზიდენტის ლიკვიდაციას მოინდომებს ვინმე, რადგან ამით ვერაფერს შეცვლის.

აქედან დასკვნა მარტივია: — საჭიროა საქართველოს კონსტიტუციის შეცვლა, ისე, რომ ის თავისუფლებას ანიჭებდეს თითოეულ მოქალაქეს და არა მხოლოდ ხელისუფალს.

ახლა, რაც შეეხება ოპოზიციას, ამ სიტყვის კარგი და ცუდი გაგებით: — საქართველოში დიდი პოლიტიკა ისევ ქუჩაში და მიტინგებზე გადაწყდა, თუმცა რევოლუციის ლიდერები ქუჩის პროცესებს არ წამოუტივტივებია, ერთი დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარე იყო, მეორე პარლამენტის სპიკერი და მესამე ვიცე-სპიკერი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, ოცდღიანი აჯანყებისა და დემონსტრაცია — მიტინგების შედეგად ხალხს არ ამოუტივტივებია საკუთარი მხრიდან რამდენადმე გამოსაჩენი და მისაღები ლიდერი. ყველა დროისა და მდგომარეობისადმი შეგუების იმუნიტეტიანმა ინტელიგენციის რამოდენიმე წარმომადგენელმა სცადა მიტმასნება რევოლუციასთან, როგორც წესი, მაშინ, როცა წინააღმდეგობა უკვე დაძლეული იყო და ხიფათიც უკუგდებული, მაგრამ ამჯერად ვფიქრობ მათ ცოტა დააგვიანდათ. „დაფნის გვირგვინები" უკლებლივ ყველა განაწილდა და ლიდერთა გაწევ-გამოწევა მათ შორის „ჩასაკვეხებლად" ველარ მოახერხეს. რამდენად მოახერხებენ ამას შემდგომ არ ვიცი, პრეტენზიები კი უთუოდ ექნებათ, რადგან არც მადა აქვთ ვინმეზე ნაკლები და არც უანგაროდ ქვეყნისა და ხალხისათვის სამსახური ეხერხებათ. ოკეანეში ცხოვრობს თევზის განსაკუთრებული სახეობა, რომელსაც წყალში დამოუკიდებლად გადაადგილება არ შეუძლია, მაგრამ აქვს უნარი მიეწებოს ვეშაპს, ამ წყლის მბრძანებელს და მასთან ერთად გადაცუროს ოკეანეები, ისე, რომ ეს უსუსური არსებები მოძმეთა შორის უდიდესი მოგზაურები ხდებიან.

ამ თევზების აღნიშნული უნარი და მეთოდი შესაშური სიზუსტით გამოიყენა ბევრმა ქართველმა პოლიტიკოსმა. ისინი ჯერ კომუნისტურ კრეისერში ისხდნენ და ამაყად გადმოჰყურებდნენ ნაპირზე მდგარ თანამოძმეებს. როცა კრეისერი დაძველდა და წყალი გაუვიდა, ახალ, ეროვნული დემოუკიდებლობის გემის კაპიტანს ზვიად გამსახურდიას მიაკითხეს, როცა მისი გემი „მეკობრეებმა" ჩაძირეს, მედროვეებმაც არ დააყოვნეს და მეკობრეთა გემებში გადასხდნენ. როცა ასლან აბაშიძის გემი დაწინაურდა, იმას ჩაუსხდნენ, როცა შევარდნაძის გემმა გაუსწრო — იქით გადასხდნენ, ვერ გათვალეს და ისე შორს გაჰყვნენ, რომ რევოლუციის გემზე დაბრუნება ველარ მოასწრეს. ხელისფლების გემი ბალასტის სიმძიმისაგან ჩაიძირა.

ახლა რევოლუციის გემის კაპიტანს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ ეს „წებო-პოლიტიკანები" რევოლუციის გემს არ მიეწებონ, თორემ კომპასებს გაუფუჭებენ და მზე შეიძლება ისევ ჩრდილოეთიდან ამოვიდეს.

ა.წ. 28 მარტისთვის საქართველოს პარლამენტის არჩევნები დაინიშნა. არჩევნებიდან არჩევნებამდე ხალხს იმედებით უხდება ცხოვრება, მაგრამ როგორ ჩატარდება მომავალი არჩევნები, როცა ჯერ თითქმის ერთხმად დაწუნებული საარჩევნო კოდექსი არ შეგვიცვლია?

ერთხელ ცნობილ პარლამენტარს, საქართველოს საარჩევნო კოდექსების ტრადიციულ თანაავტორს, (რომელიც [illegible] შინაგანი პატიოსნებისა, აღნიშნული საქმიანობისაგან მოსაცილებელია, რადგან ყველა მისი შექმნილი კოდექსი დილეტანტურ შთაბეჭდილებას ტოვებს და ფაქტობრივად ასეთიც არის) შევეკითხე: „რატომ შეგყავთ პარლამენტის წევრობის კანდიდატებად პარტიულ სიაში მეცნიერების, კულტურის, სპორტის მოღვაწენი-მეთქი?" — „ჩვენ ვფიქრობთ, რომ რადგან კაცმა კონკრეტულ სფეროში თავი გამოიჩინა, ის ასევე კარგად გაართმევს თავს სხვა სფეროს და ე.ი. პარალმენტარობასაცო". — როცა ასეთ ჭკვიანურ კანონზომიერებას აღმოაჩენ, ევრიკა უნდა იყვირო-მეთქი, ამით ხომ შენ უამრავი პრობლემა გადაწყვიტე. მაგალითად, ჩვენ მოჭადრაკეები ბევრი გვყავს, მაგრამ გვიჭირს მარათონელებისა და მოკრივეთა გუნდების დაკომპლექტება, თქვენი „აღმოჩენა" კი ამ პრობლემას გვიხსნის, შევავსებთ ამ გუნდებს ნიჭიერი და წარმატებული მოჭადრაკეებით და წარმატებაც გარანტირებული გვექნება-მეთქი". მაგრამ განა თვით ღმერთმა არ დაადგინა? — „ფრინველმა ცაში ინავარდოს, თევზმა წყალშიო?" განა ვისაც კარგად ფრენა შეუძლია — ცურვასაც ასევე შესძლებს? ის ხომ წყალში შეიძლება დაიხრჩოს კიდეც?

უდიდესი სწავლული და მეცნიერი ისააკ ნიუტონი 26 წელი იჯდა ინგლისის პარლამენტში და მთელი ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ამოიღო ხმა, ისიც მაშინ, როცა დარბაზში ჰაერი დაიხუთა: „ფანჯარა გამოაღეთო" ითხოვა. ისე რომ პოლიტიკა პოლიტიკოსებს უნდა მივანდოთ და არა პოპულარულ სხვა დარგებში თავგამოჩენილ ადამიანებს. ზოგი პარტიულ სიებში ცნობილ ადამიანთა შეყვანას იმით ამართლებს, რომ მათ ხალხი ენდობა და ელექტორატს შეგვძენსო, ასეც რომ იყოს, ეს უზნეო პოლიტიკა — მიზნის ნებისმიერი საშუალებით გამართლების ცდაა, თუმცა ელექტორატი გაცილებით სწორად და რეალურად აზროვნებს და პოპულარულ მომღერლებსა თუ სპორტსმენებს, როგორც წესი თავის საარჩევნო ხმას არ აძლევს. გადახედეთ თუნდაც პარლამენტის უკანასკნელი არჩევნების სტატისტიკას და დარწმუნდებით.

ცნობილ, პოპულარულ არაპოლიტიკურ ადამიანთა ჩართვა პოლიტიკაში, ხელოვნური, კომუნისტური მმართველობის მემკვიდრეობაა, როცა პარლამენტარის მანდატი მათ საკუთარ საქმიანობაში დამსახურებისათვის ეძლეოდათ როგორც ჯილდო, ანუ დამატებითი მორალური და ეკონომიკური სტიმული. მაგრამ ახლა როცა არჩეულ დეპუტატს უფლებების გარდა მოვალეობებიც აკისრია, ანალოგიური მიდგომა დაუშვებელია და საზიანოა როგორც ქვეყნისა და ხალხისათვის, ისე მათთვისაც, რადგან ეს ნამდვილად დამსახურებული და საპატივსაცემო ადამიანები, თავსმოხვეულ მოვალეობას თავს ვერ ართმევენ და საყოველთაო დაცინვისა და შეურაცხყოფის ობიექტები ხდებიან, რის გამოც მათ საკუთარ საქმიანობაშიც ხშირად პრობლემები უჩნდებათ და ხელი ეცარებათ.

პარლამენტარს, რომელიც 4 წელი იჯდა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, უფლება არ უნდა ჰქონდეს (გამონაკლისების გარდა) მეორედაც პარტიული სიით გახდეს დეპუტატი. ეს მათთვის ძალზე კარგი სტიმული იქნება გაიუმჯობესონ „მარგი ქმედების კოეფიციენტი", ისე რომ შეეძლოთ მაჟორიტარული წესით იყარონ კენჭი და გაიმარჯვონ თანაბარ, დემოკრატიულ არჩევნებში. ამან შეიძლება პარლამენტართა ხშირი ცვლა გამოიწვიოს, სამაგიეროდ განუწყვეტლივ ამაღლდება პარლამენტის ავტორიტეტი ხალხში და მისი როგორც უმაღლესი ორგანოს ხარისხი.

დღეს კი რეალობა ასეთია: გამოუცხადებს რომელიმე პარტია მავანს ნდობას, ჩასვამს თავის პარტიულ სიაში, გააპარლამენტარებს, ის კი არა თუ იმედებს ამართლებს, პირიქით თავისი ქმედებებით „მშობლიური პარტია" გაკოტრებამდე მიჰყავს, რის შედეგადაც მავანი ახლა სხვა დაწინაურებული პარტიის სიაში იკვარახჭინებს ადგილს და ა.შ. და ა.შ. „კვაჭი" მდიდრდება, ქვეყანა ღარიბდება.

დიდი შეცდომაა პატიოსანი და კომპეტენტური კადრების ძებნა ძველ, ნომენკლატურულ კადრთა სიაში. კაცი, რომელიც კომუნისტი არ ყოფილა, კომუნისტებისაგან მეორეხარისხოვან ადამიანად და სპეციალისტად იყო ჩათვლილი, საპასუხისმგებლო თანამდებობას ვინ მისცემდა? ე.ი. არც თავის გამოსაჩენი ასპარეზი ექნებოდა. ცოტა ხანს ეს პრივილეგია „მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველოს" წევრებს ჰქონდათ, შემდეგ კი ე.წ. „მოქალაქეთა

კავშირს“, რომელიც ძირითადად ძველ, კომუნისტურ კადრებს ეყრდნობოდა და რაც მოხდა ყველასათვის ცნობილია. ე.ი. თუ მრგვალი მაგიდის წევრიც არ იყო და შემდეგ არც მოქალაქეთა კავშირში შესულა, ასეთი პიროვნება თანამდებობაზე იქნებოდა? — რა თქმა უნდა, არა. აი, წესიერი, პატიოსანი და პრინციპული კი თუ გნებავთ, სწორედაც რომ ასეთთა შორის უნდა ეძებოთ, მედროვე და პატიოსანი სად გინახავთ?

მრავალჯერ მოტყუებული და იმედგაცრუებული ხალხი იმედით შეჰყურებს და მხარს უჭერს საქართველოს ახალ ხელისუფლებას, მაგრამ მათაც არ უნდა დაავიწყდეთ, რომ სამართლიანობის, პატიოსნების, მშრომელთა და ჩაგრულთა ქომაგობისა და თანადგომის დემაგოგიას 3-4 ათასი წლის ისტორია აქვს და ხშირად ნამდვილად გულწრფელი სურვილებისა და მცდელობების მიუხედავად ჭეშმარიტად პატიოსანი, მცოდნე და წესიერი ხალხი ისევ ჩრდილში, თამაშგარედ და ბორტგარედ რჩებოდნენ ხოლმე.

როდესაც გასული საუკუნის 70-იან წლებში ედუარდ შევარდნაძე საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოვიდა, „შეურიგებელი ბრძოლა“ გამოუცხადა მექრთამეებსა და „საქმოსნებს“. გამოყარა და გამოცვალა სამთავრობო კადრები, ისე, რომ საკუთარი ძმაც არ დაინდო. ააგორა არნახული კამპანია ე.წ. „ანტიპოდებისა“ (თუმცა ვერავინ გაიგო რის ან ვის ანტიპოდებზე იყო საუბარი) და „ნეგატიური“ ელემენტების წინააღმდეგ, რომელთა „ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდესო“ და ოპონენტებმაც არ დააყოვნეს: „დაწვეს ოპერის თეატრი, ავტოსადგური, „ბავშვთა სამყარო“... ყოველდღე სადღაც რაღაც იწვოდა. ცეკას მდივანმა და მოსახლეობამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს და დამნაშავეები „ცხრაკლიტულში“ აღმოჩნდნენ. ბოლოს კი ყველაფერი „ბლეფი“ გამოდგა და როგორც მაშინ ამბობდნენ, მხოლოდ ქრთამის დადგენილი „ფოსტები“ გაიზარდა. ახლა იმ ამბების შემოქმედი კრწანისის სამთავრობო რეზიდენციაში ზის და მემუარების დაწერას გვპირდება (თუმცა, ბოლოს გადაიფიქრა, „მემუარები მოსაწყენი საკითხავია და მოგონებებს დავწერო).

საქართველოში საკმაოდ ცნობილი მწვრთნელი ჭადრაკში, ბატონი შოთა ინწკირველი იტყოდა ხოლმე: — „რამდენჯერაც კი კამპანია წამოიწყეს, უმწიკვლო, პატიოსანი, საქმის ერთგული და მცოდნე კადრები უნდა დავაწინაუროთო, ყოველთვის ვიფიქრებდი ხოლმე, აი, ახლა კი დადგა ჩემი დრო, ახლა დამიძახებენ და ჩამაბარებენ დიდ და საპასუხისმგებლო საქმეს, მეც ყველას დავუმტკიცებ, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა და არ კი აკეთებდნენ-მეთქი, მაგრამ შენც არ მომიკვიდე, არავინ არ მიძახდა და პირიქით, უარესი არამზადები წინაურდებოდნენ ხოლმეო“.

საინტერესოა, როგორ მოიგონებს ამ ამბებს ექსპრეზიდენტი და რა კომენტარს გაუკეთებს?

ქვეყანაში კი ჯერ ისევ ვარდების სუნი დგას. გასაკეთებელიც და გადასაკეთებელიც ბევრია. მთავარია ვაკეთოთ დინჯად, მაგრამ მტკიცედ და შეურყევლად. საქართველო აღსდგება, საქართველო გაიმარჯვებს, საქართველო გაბრწყინდება, მაგრამ ამისათვის წარსულის გამოცდილების გაზიარება, მრავალჯერ დაშვებული შეცდომების აღარ დაშვება და საქმის სიტყვისაგან დაუცილებლობა გვმართებს.

ახალი პრეზიდენტი, ახალი პარლამენტი, ახალი საქართველო. ეს რეალობაა.

გავხადოთ რეალობა სასურველი.

*იგორ პატარიძე*

# დაავადებების სრული განკურნება შეუძლებელია ორგანიზმის გატუტიანების გარეშე

ადამიანი საკვებად იყენებს ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს. იმისათვის, რომ ადამიანი ჯანმრთელი იყოს და არ დაავადდეს, ცხადია, სხვა ფაქტორებთან ერთად ეს ნივთიერებები სრულიად უნდა დაიშალოს ორგანიზმში, ხოლო დაშლის პროდუქტები კი გარეთ იყოს გამოყოფილი. ცნობილია, რომ როგორც ცილების, ასევე ცხიმების და ნახშირწყლების დაშლის შედეგად სხვადასხვა მჟავები წარმოიქმნება. ეს მჟავები გროვდება უჯრედებში და იმ სითხეში, რომელიც უჯრედებს გარს აკრავს.

ბევრმა არ იცის, რომ სწორედ ეს სიმჟავიანობა, უფრო სწორედ **ზედმეტი სიმჟავიანობა არის აბსოლუტურად ყველა დაავადების განვითარების მიზეზი.**

**დასაბუთება:** ადამიანის, უჯრედები ჯანსაღი, სიცოცხლისუნარიანნი არიან მხოლოდ სუსტ ტუტე გარემოში. უჯრედები მჟავე გარემოში იჭმუხნება, ნივთიერებათა ცვლა ირღვევა და სწორედ ამიტომაა, რომ ადრე ვბერდებით, ვკვდებით და ამიტომაც არაა გასაკვირი უკვე 35 წლის ასაკში ისეთი დიაგნოზები როგორიცაა: ვეგეტოსისხლძარღვოვანი დისტონია, ნაადრევი კლიმაქსი, ფიბრომები, მიომები და ა.შ.

ე.ი. ის, რასაც ჩვენ დაავადებებს ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა ორგანიზმში მჟავიანობის მომატება. ცხადია, ორგანიზმში უნდა იყოს რაღაც სისტემა, რომელიც ამ მჟავიანობისაგან დაგვიცავს, გაანეიტრალებს რა ამ ზედმეტ მჟავებს. ასეთი სისტემა სისხლშია. როგორც კი უჯრედის გარეთ მჟავე გარემო შეიქმნება, სისხლში არსებული სპეციალური ნივთიერებები შედიან რეაქციაში ამ მჟავებთან, ანეიტრალებენ მათ და განეიტრალებული ნაერთები ორგანიზმიდან გარეთ გამოიყოფა.

**ადამიანი რომ ჯანმრთელი იყოს, აუცილებელია სისხლს ჰქონდეს სუსტი ტუტე რეაქცია** (ე.ი. სისხლში უნდა იყოს საკმარისად ტუტე ნივთიერებები, რომლებიც მჟავებს გაანეიტრალებენ). თუ ეს პირობა არ იქნა დაცული, ადამიანი აუცილებლად რაიმე დაავადებით დაავადდება ან პირიქით: თუ ადამიანს რაიმე დაავადება აწუხებს, ეს ნიშნავს, რომ მისი სისხლის რეაქცია მჟავიანობისკენაა გადახრილი და თუ **ის ტუტიანობისაკენ არ დავაბრუნეთ, უჯრედების გარშემო ტუტე გარემო არ შევქმენით — ვერანაირი მეთოდით, წამლებით დაავადებებს ბოლომდე ვერ დავამარცხებთ.**

მჟავა-ტუტიანობის დასახასიათებლად შემოღებულია pH-ის ანუ მჟავე-ტუტოვანი წონასწორობის ცნება. pH იზომება 1-დან 14-მდე, თუ pH 1-დან 7-მდეა — რეაქცია მჟავეა, 7-დან 14-მდე — რეაქცია ტუტეა. 7 ნეიტრალური წერტილია. ადამიანის ორგანიზმისათვის უნდა იყოს 7,35-დან 7,45-მდე, ანუ სუსტი ტუტე რეაქცია. pH-ზე ამდენს იმიტომ ვწერთ, რომ საკმარისია ნორმის ფარგლებიდან pH სულ 0,35 ერთეულით შეიცვალოს და ეს სრულიად საკმარისი იქნება, რომ ადამიანი მოკვდეს.

რადგანაც ჯანმრთელობის შენარჩუნება ან დაავადებების განკურნება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შევინარჩუნებთ სისხლის სუსტ ტუტე რეაქციას, ამიტომაც დაგვრჩენია ერთი გზა: 1) სისხლი „გავამდიდროთ“ ტუტე ნივთიერებებით; 2. ვეცადოთ რომ ორგანიზმის სიამჟავიანობა არ გაიზარდოს.

დადგენილია, რომ არის პროდუქტები, რომელთა მიღება იწვევს სიამჟავიანობის გაზრდას. **მჟავე რეაქციას გვაძლევს უფრო მეტად ცხოველური წარმოშობის პროდუქტები, ხოლო სისხლის და უჯრედთაშორისი სითხის ტუტე რეაქციას მცენარეული წარმოშობის პროდუქტები იძლევა.**

იმისათვის, რომ ვიცოდეთ უფრო ზუსტად თუ რომელი პროდუქტია მჟავე რეაქციის მომცემი და რომელი ტუტე რეაქციის, მოგვყავს ნ. უოკერის და რ. პოუპის მიერ მოწოდებული სქემა.

პირობითი აღნიშვნა: სუსტი მოქმედება +, საშუალო მოქმედება ++, ძლიერი მოქმედება +++, ძალიან ძლიერი მოქმედება .

როგორც ქვემოთ მოყვანილი №1 ცხრილიდან ჩანს მარცვლოვანები და პარკოსნები კუჭნაწლავის ტრაქტში დაშლისას წარმოქმნიან სუსტი მჟავე რეაქციის პროდუქტებს, სამაგიეროდ ისინი გვაძლევენ მრავალ ძვირფას საკვებ ელემენტს და ცხოველური წარმოშობის პროდუქტებისაგან განსხვავებით არ წარმოქმნიან მავნე წიდებს, ტოქსინებს.

ცხრილი №1

| პროდუქტები | მჟავე რეაქცია | ტუტე რეაქცია |
|---|---|---|
| გარგარი (ჩირი) | – | ++++ |
| ჭარხალი (ახალი) | – | ++++ |
| სტაფილო | – | ++++ |
| ნიახური | – | ++++ |
| კიტრი (ახალი) | – | ++++ |
| ლეღვი (ჩირი) | – | ++++ |
| ღორის ქადა | – | ++++ |
| პომიდორი | – | ++++ |
| კენკროვანები | – | ++++ |
| გარგარი (ახალი) | – | +++ |
| პარკოსნები (ახალი) | – | +++ |
| კომბოსტო | – | +++ |
| კომბოსტო (ყვავილოვანი) | – | +++ |
| ბოლოკი | – | +++ |
| წიწაკა (ტკბილი) | – | +++ |
| კარტოფილი (კანით) | – | +++ |
| ნესვი | – | +++ |
| მოცხარი | – | +++ |
| ბაბუაწვერა | – | +++ |
| ხილი (თითქმის ყველა) | – | +++ |
| ლიმონის წვენი | – | +++ |
| ძირთეთრა | – | +++ |
| ფორთოხლის წვენი | – | +++ |
| ყურძნის წვენი | – | +++ |
| ქლიავის ჩირი | – | +++ |
| ქერი | – | +++ |
| რძე (აუდუღარი) | – | +++ |
| ხახვი | – | +++ |
| ყურძენი | – | ++ |
| ალუბალი | – | ++ |
| ვაშლი (ახალი, ჩირი) | – | ++ |
| ნუში | – | + |
| შტოში | – | + |
| ღორის ქონი | – | + |
| კიბორჩხალა | ++++ | – |
| კვერცხი (ცილა) | ++++ | – |
| გარეული ცხოველები | ++++ | – |
| ხილის მურაბა შაქრით | ++++ | – |
| კვერცხი (მთლიანად) | +++ | – |
| ყურძნის წვენი (დამტკბარი) | +++ | – |
| ლიმონის წვენი (დამტკბარი) | +++ | – |
| ღვიძლი (ძროხის) | +++ | – |
| წიწილა | +++ | – |
| შვრიის ბურღული | +++ | – |
| პარკოსნები (შემწვარი) | +++ | – |
| არაჟანი | +++ | – |
| ბეკონი | ++ | – |
| ძროხის ხორცი | ++ | – |
| პური (თეთრი) | ++ | – |
| ყველი | ++ | – |
| ფქვილი (თეთრი) | ++ | – |
| სახამებელი | ++ | – |
| თევზი | ++ – | – |
| შებოლილი მჭლე ხორცი | ++ | – |
| ლომი | ++ | – |
| ცხვარი | ++ | – |
| პარკოსნები (გამომშრალი) | ++ | – |
| ქერი | + | |
| ბეკონი (ცხიმიანი) | + | |

**დავიმახსოვროთ: ხანგრძლივად მიმდინარე სისხლის მჟავე რეაქციისაკენ გადახრა და ორგანიზმში მჟავიანობის მომატება იწვევს დაავადებებს და ნაადრევ სიბერეს.** სწორედ ამიტომ ვურჩევთ ორგანიზმის განწენდის შემდეგ ჩვენს პაციენტებს, ხშირად გამოიყენონ კვებით რაციონში ბოსტნეული და მჟავე ხილი ზემოთ მოყვანილი ცხრილის დახმარებით. ამ პროდუქტებს ორგანიზმის გამატუტიანებელი და მაშასადამე გამაჯანსაღებელი მოქმედება გააჩნიათ. შემდგომ როცა დავამარცხებთ დაავადებებს, შეიძლება სხვა პროდუქტების მიღებაც, მხოლოდ უნდა დავიცვათ შემდეგი წესი: 1 ნაწილ მჟავე პროდუქტზე უნდა მოდიოდეს არაუმცირეს 2 ნაწილი ტუტე პროდუქტი.

**საიდან მივხვდეთ, რომ ჩვენი ორგანიზმის სიმჟავე მომატებულია:**

საჭიროა ავიღოთ სარკე, ჩავიხედოთ მასში და ვნახოთ თვალის კონიუქტივა. კერძოდ:

1. თვალის კონიუქტივის მკრთალი — ვარდისფერი შეფერილობა მიუთითებს სისხლის pH-ის გადახრაზე ნორმიდან სიმჟავიანობისაკენ (აციდოზი).

2. თვალის კონიუქტივის მკვეთრი — ვარდისფერი შეფერილობა მიუთითებს რომ სისხლის pH ნორმის ფარგლებშია.

როგორ შეიძლება სწრაფად ორგანიზმის სიმჟავის განეიტრალება:

1. უნდა დავლიოთ ისეთი მცენარეების ნახარში, რომელთაც ტუტე რეაქცია გააჩნიათ. ამ მცენარეთა სია იხ. №2 ცხრილში.

ნახარშის სამკურნალო მოქმედება: ხელს უწყობს ორგანიზმში მჟავე-ტუტოვანი წონასწორობის ნორმალიზაციას, განაპირობებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის კარგ მოქმედებას, აძლიერებს სისხლწარმოქმნას, ამდიდრებს ორგანიზმს ვიტამინებით და მიკროელემენტებით, კარგად წმენდს ორგანიზმს.

ნახარშის მომზადების წესი: მდუღარე წყალში ჩავყაროთ ზემოთმოყვანილი მცენარეების ნარევი (არაა აუცილებელი ყველა მცენარე გვქონდეს, მაგრამ რაც მეტი კომპონენტი გვექნება, მით უკეთესია). მცენარეები უნდა ავიღოთ თანაბარი რაოდენობით, ისე, რომ 1 ლ წყალზე მოდიოდეს 10 სუფრის კოვზი ნარევი. მცენარეების წყალში ჩაყრის შემდეგ წყალი ხელახლა მივიყვანოთ ადუღებამდე. შემდეგ ხსნარი გავაჩეროთ სითბოში 2-3 საათი (მანამ, სანამ ბალახები ფსკერზე არ დაილექება).

ნახარში შეიძლება წინასწარ მოვამზადოთ და შევინახოთ მაცივარში გაუფილტრავი სახით (მაცირვაში ინახება 4-5 დღე). მიღების წინ ნახარში უნდა შევათბოთ 25-30 ტემპერატურამდე. გავწუროთ და ისე მივიღოთ.

მიღება: უზმოზე, ჭამამდე 1 საათით ადრე და ძილამდე 2-3 საათით ადრე, 1-დან 3 ჩაის ჭიქამდე დღეში.

2. ორგანიზმის შესანიშნავი გამატუტიანებელია კვლიავი (ანუ ზირა, ძირა). გარდა იმისა, რომ ამ მცენარეს ტუტე რეაქცია გააჩნია, ის აგრეთვე თრგუნავს ყველა მავნე მიკროორგანიზმს და ჭიებს. საინტერესოა შემდეგი ფაქტის აღნიშვნაც: კახეთში შილაფლავს და ხევსურეთში ხინკალს ყოველთვის უმატებენ ზირას. შემჩნეულია, რომ მარტო ცხვრის ხორცი ძნელი მოსანელებელია და ზოგჯერ მაწყინარიც, მაგრამ შილაფლავი კი პირიქით, ადვილად მოინელება. მთავარი „დამნაშავე“ სწორედ ზირაა. ცხვრის ხორცი მჟავე რეაქციის გამომწვევი პროდუქტია. მისი მიღება სისხლის რეაქციას მჟავიანობისაკენ ცვლის. ზირაში შემავალი ტუტე ნივთიერებები კი ამ სიმჟავეს ანეიტრალებენ. ამიტომაც როგორც წესი შემოვიღოთ: როცა ცილოვანი პროდუქტებისაგან საჭმელს ვაკეთებთ, აუცილებლად გამოვიყენოთ ზირაც, გემოვნების მიხედვით.

ზირა უნდა მივიღოთ ფხვნილის სახით, დავაყოლოთ მას ზემოთ აღნიშნული ბალახების ნახარში ან ანადუღარი წყალი.

3. კვერცხის ნაჭუჭით მკურნალობა. ქათმის კვერცხის ნაჭუჭი (არა ინკუბატორში გაზრდილი ქათმის) გავრეცხოთ, გავაშროთ, მოვაცალოთ აპკი, დავფხვნათ. მივიღოთ დღეში 1 ჩაის კოვზი 3-4 წვეთ ლიმონის წვენთან ერთად. მკურნალობა სასურველია 2-ჯერ წელიწადში ორ-ორი თვით. დამატებით უნდა აღვნიშნოთ, რომ კვერცხის ნაჭუჭში, ასევე სუფთა ცარცში შემავალი კალციუმი ანეიტრალებს სხვადასხვა საკვების დაშლის შედეგად წარმოქმნილ მჟავებს, აგრეთვე იმ მჟავებს, რომლებიც წარმოიშობა ცილების, ცხიმების და ნახშირწყლების დაშლის შედეგად.

ამრიგად, როცა რაიმე დაავადება გვაწუხებს და ორგანიზმის სიამჟავიანობა მომატებულია, რასაც ადვილად დავადგენთ თვალის კონიუნქტივის მკრთალი — ვარდისფერი შეფერილობით, საჭიროა, კვებაში უპირატესობა მივანიჭოთ ცხრილში მოყვანილ ორგანიზმის გამატუტიანებელ პროდუქტებს და ზედმეტი სიმჟავე სწრაფად გავანეიტრალოთ 3 ძლიერი ტუტე რეაქციის მქონე საშუალებით, როგორიცაა:

1. ტუტე რეაქციის მქონე მცენარეების ნახარში.
2. ზირას ფხვნილი
3. კვერცხის ნაჭუჭი ან სუფთა ცარცი.

დოზები და მიღების წესი: თუ თვალის კონიუქტივა მკრთალი ფერისაა უნდა დავლიოთ 1 ჩაის კოვზი დანაყილი კვერცხის ნაჭუჭი (ან სუფთა ცარცი) 1 ჭიქა თბილ (25-30C⁰) მცენარეების ნახარშთან და 1 ჩაის კოვზ ზირას ფხვნილთან ერთად, ჭამამდე 1,5 საათით ადრე. თუ რამდენჯერ უნდა მივიღოთ, ეს განისაზღვრება თვალის კონიუქტივის შეფერილობის შეცვლით. კერძოდ ამ ნარევის მიღებიდან 1-2 წუთის შემდეგ თვალის კონიუქტივის მკრთალი — ვარდისფერი შეფერილობა შეიცვლება მკვეთრი, კაშკაშა ვარდისფერით. თუ ისე მოხდა, რომ ნარევის მიღებიდან 3-5 წუთის შემდეგ კონიუქტივა კვლავ გაფერმკრთალდა, მაშინ იგივე დოზა გავიმეოროთ და ამას დავჯერდეთ, თუნდაც კონიუქტივა კვლავ მკრთალი ფერის დარჩეს.ბალახთა ნახარშის, ზირას და კვერცხის ნაჭუჭის (ან სუფთა ცარცის) მიღების შემდეგ საჭმელი უნდა მივიღოთ არაუმცირეს 1,5 საათის შემდეგ, ე.ი. მაშინ, როცა ეს ნარევი დატოვებს კუჭს.

ვამთავრებთ რა ამ მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ მსჯელობას, დასკვნის სახით კვლავ ვიმეორებთ:

ა) ნებისმიერი დაავადების დროს ორგანიზმში სიმჟავე მომატებულია.

ბ) ზედმეტი სიმჟავე რომ თავიდან ავიცილოთ, საკვებად უფრო მეტად უნდა გამოვიყენოთ სისხლის გამატუტიანებელი პროდუქტები (იხილეთ ცხრილი).

გ) ჯანმრთელობაზე კონტროლისათვის გამოიყენეთ თვალის კონიუქტივის ფერზე დაკვირვება.

დ) ორგანიზმის ზედმეტი სიმჟავის სწრაფი გამანეიტრალებლებია: ტუტე რეაქციის მცენარეთა ნახარში, ზირას ფხვნილი და კვერცხის ნაჭუჭი (ან სუფთა ცარცი).

*შ. საბახტარიშვილი.*
*სამკურნალო წიგნი, ტ.4*
*თბილისი, 1997*

ცხრილი №3

| მცენარის სახელწოდება | გამოსაყენებელი ნაწილი |
|---|---|
| ანგელოზა | ფესურა |
| არყის ხე | კვირტი |
| ასისთავა | ბალახი |
| ბაბუაწვერა | ფესვი |
| ბერულა | ბალახი |
| ბეგქონდარა | ბალახი |
| გვირილა | ყვავილი |
| ევკალიპტი | ფოთოლი |
| ვალერიანა | ფესურა ფესვით |
| ვირისტერფა | ფოთოლი |
| თავშავა | ბაწლახი |
| თავსისხლა | ფესურა |
| კალენდულა | ყვავილი |
| კვლიავი | ნაყოფი |
| კრაზანა | ბალახი |
| მრავალძარღვა | ფოთოლი |
| ნაძვი | კვირტი |
| ნეგო | ყვავილი |
| ორკბილა | ბალახი |
| პიტნა | ფოთოლი |
| სალბი | ბალახი |
| ფარსმანდუკი | ბალახი |
| ქრისტესისხლა | ბალახი |
| შავბალახა | ფოთოლი |
| ცაცხვი | ყვავილი |
| ჭინჭარი | ფოთოლი |

# SOS!

## ქართველებზე ძალადობა გრძელდება

საქართველოში ბოლო ათწლეულის მანძილზე მშობლები აწყდებიან ერთ ფრიად საშიშ და ამასთანავე უცნაურ მოვლენას. საქმე ეხება ბავშვთა სექსუალურ აღზრდას, დაწყებულს საბავშვო ბაღის ასაკიდან. ეს პროცესი, ფაქტობრივი, მშობელთა და მოზარდთა არაერთხელ გამოხატული პროტესტის უგულვებელყოფის ფონზე მიმდინარეობს. მისი მესვეურები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ქამელეონივით იცვლიან იერს და გვევლინებიან სხვადასხვა სახელწოდებებით: „ოდა" („ოჯახის დაგეგმარების ასოციაცია"), „თანადგომა" და ა.შ. სკოლებში ისინი ადრე დაუფარავად შედიოდნენ, შემდეგ, მშობელთა და მოსწავლეთა უარყოფითი რეაქციის გამო, ნიღაბი აიფარეს და დაირქვეს ჯერ „ჰიგიენის დაცვის", შემდეგ „ძალადობისგან", ბოლოს კი „შიდსისაგან" თავდაცვის მეთოდის მასწავლებელთა სახელები. სინამდვილეში კი გაუკულმართებული სექსუალური ურთიერთობების, მაზოხისტურ-სადისტური ქმედებების, ამორალური და ორგანიზმის ჯანმრთელობისთვის საზიანო ქცევების, ნარკოტიკული ნივთიერებების ფართო სპექტრისა და მათი მიღების მეთოდების შესახებ აწვდიან ინფორმაციას ბავშვებს. ამ ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ბროშურებიდან და წიგნებიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: „ბავშვთა სექსუალური აღზრდის" მესვეურთათვის „უსაფრთხო სექსს" წარმოადგენს ყველა ისეთი ურთიერთობა, მათ შორის გაუკულმართებულიც, რომლის შედეგადაც არ ხდება ბავშვის ჩასახვა. ამავე დროს ოჯახის ცნება იგნორირებულია და წარმოჩენილია როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ზედმეტი, უსარგებლო და ჯანმრთელობისთვის საშიში დანამატი, რაც გვაფიქრებინებს, რომ მზადდება და ხორციელდება ქართველი ერის გენოციდი. სექსუალურმა რევოლუციამ ისეთი ზესახელმწიფო, როგორიცაა ამერიკა, ჩიხში მოაქცია. სახელმწიფო პრობლემად იქცა დარღვეული ოჯახები, მიტოვებული ბავშვები და მოხუცები და მოსახლეობის მატების კატასტროფული შემცირება, რის გამოც ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა პირველივე, რაც მოიმოქმედა საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემდგომ, იყო სკოლებში სექსუალური აღზრდის პროგრამის გაუქმება და ზნეობრიობის ამაღლების პროპაგანდისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოლიდური თანხის გამოყოფა. ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გარყვნილება, რომელსაც საქართველოს ტელევიზია თავაზობს მაყურებელს, უცხოა ამერიკის ტელეარხებისათვის. იშვიათია აგრეთვე მოიძებნოს ქვეყანა, რომლის ქალაქებშიც ნაწყდებით იმგვარ უცენზურო და ეროტიკულ რეკლამებს, როგორსაც საქართველოში, განსაკუთრებით თბილისსა და ქუთაისში.

ჩვენ, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები, ვაცხადებთ, რომ ამგვარი მეთოდებით ილახება ჩვენი რელიგიური, ეროვნული და პიროვნული უფლებები. ხდება ძალადობით შემოჭრა ჩვენი ოჯახების ცხოვრებაში და მშობლებს უკანონოდ და იძულებით ერთმევათ უფლება ზნეობრივად აღზარდონ საკუთარი შვილები. მსგავსი რამ მონათმფლობელური წყობილების დროსაც კი იშვიათ და საძრახის გამონაკლისს წარმოადგენდა.

მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ შეწყდეს ძალადობა ქართველ მოსახლეობაზე!

*მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი,*
*წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირი*

# რევოლუცია ქართულად?

ობიექტური საბოლოო შეფასება იმისა, რაც ჩვენს ქვეყანაში ნოემბრის თვეში მოხდა, ალბათ, ჯერ ნაადრევია და მოითხოვს გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ცივი გონებით განსჯას. მაგრამ, ვფიქრობ, ცხელ გულზე შემუშავებული შეხედულებაც ანგარიშში ჩასაგდებია.

კარგა ხანია, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენ ფორმალური დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ ანუ მოკიდებული 1991 წლიდან სულ უკანასკნელ ხანამდე, ქვეყნის სათავეში მყოფი ხელისუფლება — როგორც სხვადასხვა მოწვევის პარლამენტი, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები — სახელმწიფოს კი არ მართავდნენ, არამედ სახელმწიფობანას თამაშობდნენ. თავიდან, ადვილი შესაძლებელია, და, ალბათ ბუნებრივიცაა, რომ ეს სრული გამოუცდელობის შედეგი ყოფილიყო, მაგრამ შემდგომში ამას, ვფიქრობ, სხვა უფრო სიღრმისეული მიზეზებიც ჰქონდა, გაპირობებული თვით ამ ადამიანთა მენტალობით და მეზობელი რუსეთის მოუხეშავი სახელმწიფოებრივი მანქანის აშკარა ზეწოლითაც. სახელმწიფობანას თამაში მჟღავნდებოდა, როგორც აურაცხელი კანონის „ცხარე დისკუსიების" შედეგად მიღებით, რომელთაც ცხოვრებაში განხორციელება არ ეწერათ, ასევე უამრავი კომისიების შექმნით, რომელთაც სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირბოროტო სასიცოცხლო დიდი პრობლემების გადაწყვეტა ევალებოდათ და რომელთა უმოქმედობა ან ჩატარებული სამუშაოს სრული უშედეგობა ჩვენი სახელმწიფოს და საზოგადოების არსებობის წესად იქცა. ყველაფერ ამას მოჰყვა სავალალო შედეგები: ტერიტორიების დაკარგვა დიდი მსხვერპლის ფასად, ქვეყანაში სრული განუკითხაობა, დაუსჯელობის სინდრომი, უზნეო ადამიანთა აღზევება და კორუფციის არნახული აყვავება — საშინელი სენი, რომელმაც შიგნიდან გამოხრა ქართველი ერი და მას სრული გადაგვარებით დაემუქრა.

ეროვნული ინტელიგენცია (რომელიც ჯერ კიდევ ცარიზმის დროს, ხოლო შემდეგ კომუნისტურ რუსეთში, ფაქტობრივად, სალანძღავ ან საქილიკო ფენომენად იქცა, რის გამოვლინებასაც ჩვენს საზოგადოებაში, სამწუხაროდ, ახალგაზრდობის ნაწილში, უკანასკნელ წლებშიც ჰქონდა ადგილი), თუმცა კი, ცხადია, აღარ იდევნებოდა და ფორმალურად ხელისუფლებისაგან დაფასებულიც კი იყო, ფაქტობრივად, ერთი-ორი პრივილეგირებული წარმომადგენლის გარდა, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გარიყული, მატერიალური თვალსაზრისით სულს ღაფავდა და ღაფავს კიდეც. საზოგადოების ამ ნაწილში თითქოს სრული აპათია იყო დასადგურებული.

ამის მიზეზი საქართველოსთვის ბოლო ორასი და განსაკუთრებით კომუნისტური სამოცდაათწლიანი ეპოქა იყო, რომლის პირველ ათწლეულში, ფაქტობრივად, განხორციელდა საზოგადოების კულტურული და გონიერი ნაწილის გენოციდი. შედეგად, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს და ბოლოს, კომუნისტებიც მიხვდნენ, რომ ინტელიგენციის გარეშე სახელმწიფო ვერ იარსებებდა, მაინც საზოგადოების დიდი ნაწილი და, პირველ რიგში, სახელმწიფო სტრუქტურები განაგრძობენ არსებობას კომუნისტუტი მორალის ზნეობრივი კატეგორიების პრინციპების მიხედვით, ანუ სრული უზნეობის საფუძველზე.

კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, გაცილებით ძნელი აღმოჩნდა კომუნისტური ფსიქოლოგიის და ამით გაპირობებული ამორალობის აღმოფხვრა, მითუმეტეს, რომ ქვეყნის სათავეებში თანდათან კვლავ ძველი, „გამოცდილი კადრები" მოვიდნენ. აი, ამან და ყალბადგაგებული დემოკრატიის საფუძველზე აღმოცენებულმა დაუსჯელობის ზემოხსენებულმა სინდრომმა შექმნა არნახულად ნოყიერი ნიადაგი კრიმინალური ფსიქოლოგიისა და საყოველთაო კორუფციისათვის, რაშიც ბოლო 10-12 წელიწადია, რაც ჩვენი საზოგადოება ერთიანად ჩაფლულია და რამაც ჩვენი სახელმწიფოებრიობა სათამაშო ობიექტად აქცია. დასავლეთის გულწრფელი მორალური და უდიდესი მატერიალური დახმარება ისევე, როგორც ადგილობრივი მატერიალური რესურსები კრიმინალური „ელიტის" სიხარბის გამო ქვეყნისა და ხალხის მიღმა დარჩა, ხოლო ჩვენი, მართალია, ეფემერული, მაგრამ მაინც დამოუკიდებლობით შეურაცხყოფილ რუსეთს ჩვენს შინაგან საქმეებში ჩარევის უაღრესად ხელსაყრელი გარემო შეექმნა. ამის შედეგები, კი ყველასთვის ცნობილია.

ქართველი ერი, რომელიც მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში, მიუხედავად გვიანი საუკუნეების პოლიტიკური ქარტეხილების შედეგად მისი კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების დაქვეითებისა, მთელს კავკასიაში და მახლობელ აღმოსავლეთში პრესტიჟულ ერად ითვლებოდა და დასავლეთი ევროპისთვის XIII-XV საუკუნეებშიც კი მაჰმადიანური გარემოცვისაგან ქრისტიანობის შეუდრეკელი დაცვის გამო, მხნეობის თვალსაზრისით, მისაბაძ ერად იყო მიჩნეული, XX საუკუნის ბოლო ათწლეულში განვითარებული ზემოხსენებული პროცესების შედეგად, ზოგიერთგან დასაცინი და აბუჩად ასაგდები შეიქნა.

ინტელიგენციამ კერძოდ, ისტორიკოსებმა, არაერთხელ მიმართეს ბოლო წლების განმავლობაში მთავრობას, ქმედითი ზომები მიელო მდგომარეობის გამოსასწორებლად და, კერძოდ, — საყოველთაო კორუფციის წინააღმდეგ, რადგან სწორედ ეს ეროვნული უბედურება მიაჩნდათ (და მიაჩნიათ) ყველა დანარჩენის მიზეზად. აღნიშნავდნენ, რომ „ასე ცხოვრება აღარ შეიძლება", რომ ეს ბოლო ათწლეული ყველაზე „ავადსახსენებელ და სამარცხვინო პერიოდად დარჩება ჩვენი ქვეყნის ისტორიაში". სამწუხაროდ, ამგვარ მოწოდებებს (და, რა თქმა უნდა, მასმედიის არხებით წლების განმავლობაში გაცხადებულ სათანადო აქტივობას) ხელისუფლება, როგორც წესი, დუმილით და სრული უმოქმედობით პასუხობდა. სალადმოაზროვნე ინტელიგენციის უგულებელყოფა ნიშანდობლივია, რადგან მთავრობა რომელიც ანტიინტელიგენტურია, აუცილებად ანტიეროვნულიცაა. ეს ნათლად დაამტკიცეს კომუნისტებმა. ასეთი ვითარება კი არ შეიძლება არ შეუბრუნდეს იმავე მთავრობას. ხალხმა ბევრი რამ შეიძლება მოითმინოს და იგი ითმენდა კიდეც, რადგან კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის ტერორისაგან განთავისუფლებული, დემოკრატიული თავისუფლებისაკენ მიისწრაფოდა, რის იმედსაც მთავრობის მიერ გაცხადებული ლოზუნგებიც აძლევდა. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, მიზნის მიღწევის შესაძლებლობა სულ უფრო ილუზორული ხდებოდა. მიზანს აშკარად თანდათან ვშორდებოდით.

მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას თავისი ობიექტური კანონზომიერებანი ახასიათებს, რომელთაც შეუქცევადი გუნება აქვთ. მე ვგულისხმობ ცივილიზებული საზოგადოების ცხოვრებას, რომელსაც ქართველი ერი უცილობლად მიეკუთვნება. კერძოდ, ჩემთვის ცხადი იყო, რომ სულ ცოტა 2500 წლოვან სახელმწიფოებრივ, ანუ ცივილიზებულ ცხოვრებას, მიუხედავად საქართველოს ისტორიის თანამდევი, მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობით გაპირობებული, შეიძლება ითქვას, პერმანენტული კატაკლიზმებისა, არ შეიძლებოდა ქართველი ხალხისთვის უკვალოდ ჩაევლო.

ინტელიგენციამ, როგორც აღვნიშნე, არაერთხელ გააფრთხილა მთავრობა, რომ დაძაბულობა უკიდურეს წერტილამდეა მისული, რომ საქართველო „ჩამოყალიბდა, როგორც შუა საუკუნეების ტიპის აღმოსავლური ბარბაროსული სახელმწიფო" (ძალისმიერი სამართლით, ადამიანთა სრული დაუცველობით, ბანდიტიზმით...). მთავრობა კვლავ დუმილს ან დემაგოგიურ განცხადებებს არჩევდა, ხოლო სულ ბოლო დროს აშკარად მისგანვე დანერგილი ცხოვრების ზემოხსენებული წესის შემაგრებას შეეცადა. ეს კი ნიშნავდა, რომ მთავრობა აბსოლუტურად გაუუცხოვდა საკუთარ ხალხს და ამდენადვე განწირული იყო.

უკანასკნელი მწარე წვეთი, რომელმაც ხალხის მოთმინების ფიალა აავსო, ეს იყო 2 ნოემბრის გამჭირვალედ გაყალბებული არჩევნები. ხალხის დიდი უკმაყოფილება მწვავე პროტესტად გადმოიღვარა და მოხდა ის, რაც, უნდა მომხდარიყო: ქართველი ხალხის ცხოვრებაში ისტორიული განვითარების ბორბალი, რომლის უკუღმა შემობრუნებას აპირებდნენ, საბოლოოდ წაღმა დატრიალდა. ეს დაინახა მთელმა მსოფლიომ, გარდა რუსეთისა და ზოგიერთი ჩვენი რენეგატისა!

ქართველებმა ერთ დღე-ღამეში ეხლა უკვე მთელი მსოფლიოს თვალში, დაიბრუნეს თავისი, როგორც ცივილიზებული ერის პრესტიჟი! ეს იყო ბოლო წლებში მიმდინარე ისტორიული პროცესების კანონზომიერი დაგვირგვინება, დაფუძნებული ათასწლოვანი ცივილიზებული ცხოვრებით განპირობებულ ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ფსიქოლოგიაზე, რომელიც, ჩანს, ყოველთვის ღვიოდა ქართველი ერის მოწინავე ნაწილში.

ჯერ კიდევ 1990 წელს, სანამ დაინგრეოდა საბჭოთა კავშირი, ერთ ჩემს პუბლიკაციაში ვწერდი: საკითხავია, რითი ინარჩუნებდა საბჭოთა კავშირი ამ თავის მიერვე შექმნილ არაადამიანურ ტოტალიტარულ რეჟიმს? ჩემი აზრით, იგი სამ სვეტს ეყრდნობოდა: პირველი — ტერორი, მეორე — შიმშილი, მესამე — სიცრუე. ეს სამი ფრიად ეფექტიანი უდიდესი ანტიჰუმანური საშუალება ადამიანის საზოგადოების მართვისა იმთავითვე ფუნდამენტურ პოლიტიკურ დოქტრინად იქცა, რადგან შესანიშნავად იცოდნენ, რომ „შიში შეიქმს სიყვარულს", შიმშილი — მათხოვრულ დამოკიდებულებას, ხოლო სიცრუე — გათიშულობას. ყველაფერი ეს პოლიტიკური მმართველობის უძველესი ხანიდანვე ცნობილი მეთოდოლოგიაა, რომლითაც სარგებლობდნენ დესპოტურ სახელმწიფოთა მესვეურები. სამივე ეს საყრდენი, რასაც, საბოლოო ჯამში, მალე მთელი საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნგრევა მოჰყვა. ამ ნანგრევებში შობილმა ქართულმა „დამოუკიდებელმა" სახელმწიფომ საყრდენად, არსებითად, ორი სვეტი შეინარჩუნა — სიცრუე და შიმშილი. ორ სვეტზე დაყრდნობილმა ამ „დემოკრატიამ", რომელსაც შიში თან აღარ სდევდა და, ამდენად, საბჭოთა კავშირთან შედარებით, ცხადია, კიდევ უფრო დღემოკლე უნდა ყოფილიყო, თუ, ერთი მხრივ, საყოველთაო კორუფცია დანერგა და კრიმინალური საზოგადოება ლამის დააკანონა, მეორე მხრივ, იმავე შიშის უქონლობის გამო, საზოგადოების ჯანსაღი და გონიერი ნაწილისგან მწვავე და უკომპრომისო კრიტიკა გამოიწვია, რამაც ხალხის უდიდესი ნაწილი რადიკალური ცვლილებებისთვის ფსიქოლოგიურად შეამზადა. და მოხდა სრულიად კანონზომიერი სახალხო გადატრიალება თუ რევოლუცია, რომელსაც ხალხის მოწინავე ნაწილი — ინტელიგენცია ხელმძღვანელობდა, რომლის როლი თანამედროვე სახელმწიფოში კომუნისტური მენტალობის მქონე მთავრობამ ვერ შეფასა, უგულებელყო და ამიტომ დამარცხდა.

ასეთია ობიექტური ისტორიული განვითარების ლოგიკა.

ისე, როგორც საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წარმატება ვერ შეაჩერა ვერავითარმა კონტრრევოლუციამ, ინტერვენციამ თუ რესტავრაციამ, ასევე დაუმარცხებელია ქართული სახალხო რევოლუცია სწორედ იმიტომ, რომ იგი საზოგადოებრივი განვითარების ისტორიული კანონზომიერებაა. თუ ეს არ გაეგებოდათ XIX ს-ის დასაწყისის პოლიტიკოსებს, კარგად უნდა ესმოდეთ XXI საუკუნის მათ ჩამომავლებს. ამ დიდი სახალხო აქციის მონათვლა „პუტჩად" ან „ბრბოს" გაუაზერბელ აღტკინებად, ან თუნდაც ასი თუ ორასი ათასი ადამიანის ხუშტურის გამოვლინებად, რომელიც ვითომ არ გამოხატავს საერთო სახალხო განწყობას, რბილად რომ ვთქვათ, არაკეთილსინდისიერებაა. ასეთი შეფასებები კი მავანთაგან ისმოდა ტელეარხებზე!

მთელი მსოფლიო გაკვირვებულია როგორ განხორციელდა ერის ცხოვრებაში ეს გარდამტეხი მოვლენა სისხლისა და ყოველგვარი უხეში ძალადობის გარეშე?! ვფიქრობ, ამის ძირითადი მიზეზია სწორედ ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ ამ ე. წ. „ვარდების რევოლუციის" წარმმართველ ძალას და თვით მრავალდღიანი ხალხმრავალი მანიფესტაციების მონაწილეთა დიდ ნაწილს ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენდნენ, იმ ხალხის ინტელიგენციისა, რომლისთვისაც როგორც უკვე აღვნიშნე, ათასწლეულთა განმავლობაში ცივილიზებული არსებობით გაპირობებული ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მენტალობა და ამდენადვე საბედისწერო მომენტებში დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, არაცნობიერად მაინც, ორგანულ თვისებას წარმოადგენს.

ამგვარად, ჩემი ღრმა რწმენით, ე. წ. „ვარდების რევოლუცია", გარდა ყველაფრისა, თვისებრივი ნახტომიცაა, რომელიც გამორიცხავს ახალი მთავრობის ანტიინტელიგენტურ (რესპ. ანტიეროვნულ) განწყობას. რა თქმა უნდა, შორს ვარ ეიფორიისგან, რადგან მთავარი სირთულეები ახლა დაიწყება: ჭეშმარიტი დემოკრატიის მშენებლობა, კანონის უზენაესობა, საჯაროობა, ძველი ფსიქოლოგიის (და ე. ი. ძველი კადრების) დაძლევა და სხვა, რომ აღარ ვთქვათ საგარეო ფაქტორზე და მისგან შექმნილ საშიშროებებზე. ცხადია, იქნება შეცდომებიც, ალბათ, ჩავარდნებიც... საჭირო იქნება საზოგადოების საფხიზლეც, მთავრობისადმი დახმარებაც, კონტროლიც და სხვა... მაგრამ მთავარია ის, რომ პროცესი დაიწყო და იგი შეუქცევადია.

*14.12.03*


| მთავარი რედაქტორი მანანა ლობჯანიძე | რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. №5 გაზეთის ინდექსი 66447 | შპს გაზეთი „საქართველო" რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ №06/4-444 ტელ: 93-15-89 | გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორი აგებს. |
|---|---|---|---|